პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 16 (11020) | სამშაბათი, 21 იანვარი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

„თუ აღმოვფხვრით უწყებრივ ბარიერებს და ნამდვილად მეურნეობრივად მივუდგებით ამ რეზერვების გამოყენებას, ჩვენ მოკლე ვადაში დამატებითი კაპიტალდაბანდებების გაუღებლად იმავე საწარმოო ფართობებზე და იმავე მოწყობილობით მკვეთრად გავადიდებთ სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას“.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

სახელოვან ჯურბინმშენებლებთან



რეპორტაჟი ლენინგრადის სტალინის სახელობის ლითონის ქარხნიდან

ლენინგრადი, ვიბორგის მხარე, პოლიუსტროვსკის სანაპირო № 19... — აბა, ასე არ მივასწავლიდი მკითხველს მთელი ეკონომიური რაიონის მარჯვენა ხელის — უზარმაზარი გიგანტის გზას. ჩვენ ხომ ახლა უბრალოდ მისამართი არ გვაინტერესებს! სხვა მხრიდან კი სავალი შორია, მეტისმეტად შორი, მაგრამ ნათელი და საინტერესო. მანძილს თუ გავზომავთ, იქნება დედამიწის ალისფერი ერთი მეექვსედი შემოგვატაროს, შესაძლოა მის ფარგლებსაც გავცდეთ. მაშ ნუ დავაყოვნებთ, დავადგეთ გზას. აი, ასე ვიაროთ, ამ გზით — ახედეთ მაღლა, ელექტრობოძებზე სტრიქონებად გავლებულან ლითონის სადენები — აი სწორედ აქ წერია "მისი მისამართი.

...ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის უნაპირო სივრცე კიდით-კიდემდე დასერილია ამ სადენებით. მათში — სიცოცხლის ძარღვებში უშრეტი სისხლი ჩქეფს, უძლეველი ძალა — დენი! ათეულ წლობით დევგმირებივით დგანან უზარმაზარი ელექტროსადგურები, მკერდი მიუშვერიათ ვეებერთელა მდინარეებისათვის, მთიდან მოვარდნილი ჩანჩქერებისათვის, რომ უქმად არ ჩაიარონ, ადამიანის სასაკეთოდ მოიტანონ ის ძალა, რაც ბუნებით მოსდგამთ. ამაყად დგანან კომუნიზმის ეს ციხენათელები, გულში ატარებენ ქვეყნის ძლიერებას, უზომო ძალით აღივსებიან და მერე ფოლადის არტერიებით უგზავნიან ქვეყანას ელექტრობას. გრიალებენ დახგები, ავტომატები, ილიჩის ნათურებში ციმციმებენ არწივის სახუდარზე გამოკიდული სოფლები. ილიჩისო იმიტომ ვიძახით, რომ ყოველივე ამას მან ჩაუყარა საფუძველი, მან დაინახა ასეთი საბჭოეთი, როცა ჯერ კიდევ ინგლისელი მწერლის ჰერბერთ უელსის თქმით „რუსეთი ბურუსში“ იყო.

1920 წელი. „გოელრო“, ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმა. იწყებოდა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ჩაყრა.

— შეიძლება წარმოიდგინო ამაზე გაბედული პროექტი ქვეყნისა უსასრულო ტყეებითა და გაუნათლებელი გლეხებით, ასეთი განუვითარებელი ტექნიკით, მომაკვდავი მრეწველობითა და ვაჭრობით? — შენიშნავდა მაშინ უელი. — მე პირადად მსგავსი არაფერი არ შემიძლია წარმოვიდგინო, ლენინს კი, როგორც ჩანს, შეუძლია, — დასძენდა იგი.

ქვეყნის ელექტროფიკაციამ პირველად 1,5 მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის 20 ახალი თბოელექტროსადგურისა და 10 ჰიდროელექტროსადგურის აშენებით აიდგა ფეხი. აქედან მოყოლებული, ლენინგრადის ლითონის ქარხანამ, რომელიც დიდი ლენინის მოწაფისა და თანამებრძოლის ი. ბ. სტალინის სახელს ატარებს, სახელი გითქვა მთელ დედამიწის ზურგზე როგორც ორთქლისა და ჰიდროელექტრული სამამულო ტურბინების სამშენელმ. ტურბინე გულია, რომელიც ჩვენს ელექტროსადგურებს უცემთ მკერდში. მათ შექმნაში მონაწილეობა სახელისა და დიდების საქმეა.

დგას ქარხანა როგორც ისტორიული ძეგლი. იგი 1957-ში 100 წლის შესრულდა. ქვებიც კი ლაღადებენ განვლილი ერთი საუკუნის შესახებ. რა იყო წრნთ აქ. ნევის ნაპირას ფართოდ გაწვდილი აგარაკები. გრაფი დერნოვო, სანკტ პეტერბურგელი ქალბატონი ბეკენრევა და პირველი გილდიის ვაჭარი რასტეტიანეკი პარპაშობდნენ უბრალო ადამიანების ოფლით მორწყულ მიწაზე. ცოტა მოშორებით, მეზღვაურთა დაბის მიწურებში შიმშილსა და სიღატაკეში სულს ღაფავდნენ ობტელები, რომლებიც რუსეთის გუბერნიებიდან მოეყვანათ მეფის ფლოტისათვის ხის ხომალდების ასაგებად.

სწორედ ამ ადგილებში გაიმართა ქარხანა. რა სასახელო გზა განვლო მან გასული საუკუნის მანძილზე, ამაზე შეიძლება სქელტანიანი წიგნები შეიქმნას და ორი სიტყვითაც გამოთქვას ეს. პირველი პროდუქცია ლითონის ტაფა გახლდათ, უშვებდნენ რესორებს ეკიპაჟისათვის, სასწორის თეფშებს, ჩაიდნებს, საპუდრეებს, შამპანიის ვაზებს... დღეს კი 200 ათასი კილოვატის სიმძლავრის ორთქლის ტურბინებს, ბრატსკისა და კრასნოიარსკის ჰესებისათვის 200-300 ათასი კილოვატის სიმძლავრის ჰიდრავლიკურ ტურბინებს ამზადებენ.

ძველთაგანვე რა დოვლათი შექმნილა ლენინგრადელი მელითონეების ხელით, ამის ჩამთვლა შორს წაგვიყვანდა: მბრუნავი სარკინიგზო წრე ფინეთის სადგურისათვის, იმპერატორ პეტრე დიდის გადასახსნელი ხიდი, 100 ტონიანი მცურავი ამწე, პეტერბურგში თავრიდის სასახლის ორანჟერიის ფოლადის უზარმაზარი კონსტრუქცია, მოსკოვში სახელმწიფო უნივერმაღის („გუმი“) ვეებერთელა თაღი... რომელი ერთი ჩამოითვალოს. რუსი ოსტატები თავიდანვე განთქმული იყვნენ თავიანთი ნახელავით. ჯერ კიდევ 1893 წელს მსოფლიო გამოფენაზე ჩიკაგოში ამ ქარხანამ ბრინჯაოს ორი მედალი მიიღო.

უკანასკნელ პერიოდში კი ლენინგრადის ლითონის ქარხნისათვის დიდი საწარმოო გამოცდა იყო დნეპრჰესისათვის 75 ათასი კილოვატის სიმძლავრის ტურბინის მშენებლობა.

1907 წელს ქარხანაში შეიქმნა ორთქლის პირველი ტურბინი 200 კილოვატის სიმძლავრისა, 1924 წელს — ჰიდრავლიკური ტურბინი, რომლის სიმძლავრე 55 კილოვატს არ აღემატებოდა. ეს უკანასკნელი ახალციხის ჰიდროელექტროსადგურისათვის იყო განკუთვნილი. ახლა 200.000 კილოვატის სიმძლავრის ორთქლის ტურბინს ამზადებენ, ჰიდროტურბინების სიმძლავრე კი მას შემდეგ 2.291-ჯერ გაიზარდა!

ქარხანა — ხალხია! — ასე ამბობენ ტურბინმშენებლები. ლენინგრადის ლითონის ქარხანა ამაყობს თავისი მიღწევებით და ეს მიღწევები მის სახელოვან კოლექტივს ეკუთვნის.

ლენინის ორი ორდენი ამშვენებს იუბილარს — ლენინგრადის სტალინის სახელობის ლითონის ქარხანას. ეს ჯილდო მომავალი საგმირო საქმეებისათვის აღფრთოვანებს ქარხნის — ამ დიდი ოჯახის შვილებს, ლენინგრადში — რევოლუციის აკვანში გამოზრდილ ჰაბუკებსა და ქალიშვილებს.

ბ. ნიშნიანიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ლენინგრადი.

* * *

სარათოვი: ძირითადად ლენინგრადის ლითონის ქარხანაში დამზადდა პირველი საბჭოთა ელექტროგუთანი, რომლის გამოცდასაც 1921 წელს ესწრებოდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ლენინგრადელები გვიზიარებენ გამოცდილებას

მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ლენინური პრინციპის შესაბამისად კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ 1957 წლის 10 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე დასახეს დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობის ღონისძიებები მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სრულყოფისათვის. ეს საკითხის განხილვას ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათი ჰქონდა. ჯერ კიდევ სესიამდე ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს კიდით-კიდემდე გაიმართა 514 ათასზე მეტი კრება, რომელმაც მხურვალედ დაუჭირა მხარი XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების უტყუარ პირობას — მრეწველობისა და მშენებლობის მართვის უკეთ ორგანიზაციის ღონისძიებებს.

სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნამ ბრწყინვალე შედეგები მოგვცა მთელი კავშირის მასშტაბით. სხვებთან ერთად კარგი შედეგებით დაამთავრეს გასული — 1957 წელი საქართველოს სახალხო მეურნეობის მუშაკებმა. მათ მრეწველობისა და მშენებლობის ახლებურად მართვის საკუთარი გამოცდილება მიიღეს და კვლავ გულდასმით განაგრძობენ ახალი გზების ძებნას ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის.

მთელ კავშირში ცნობილი გახდა, რომ მოკლე ხნის — 8 თვის განმავლობაში მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელების მდიდარი გამოცდილება შეიძინეს ლენინგრადის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის მუშაკებმა.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ ქალაქ ლენინგრადში მიავლინა სპეციალური კორესპონდენტი, რომელმაც თხოვნით მიმართა ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაკებს მოეთხროთ თავიანთი სამეურნეო გამოცდილების შესახებ ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის.

ეჭვი არ არის, რომ იმ გამოცდილების გაცნობა, რომლის შესახებ ლენინგრადელები „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში მოგვითხრობენ, ხელს შეუწყობს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაობის კიდევ უფრო უკეთ წარმართვისათვის.

გაიხსნა საქართველოს ალკკ XXII ყრილობა

20 იანვარს მუშაობა დაიწყო საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXII ყრილობამ. ყრილობაზე შეიკრიბა რესპუბლიკის ახალგაზრდობის 600-ზე მეტი წარმოგზავნილი — სამრეწველო საწარმოთა ნოვატორები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოწინავენი, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საშუალო სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლენი, საბჭოთა არმიის მეომრები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მეავანაძე, გ. დ. ჯაავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, ი. ს. დოლიძე, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუპავა, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე, თ. ბ. ჯანელიძე, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ნ. მესიაცევი.

ყრილობა გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ. აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები — საქმიანი პრეზიდიუმი, სამდივნო, სამანდატო და სარედაქციო კომისიები.

დიდი აღფრთოვანებით, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

დელეგატები და სტუმრები გულმხურვალედ შეხვდნენ ცნობას, რომ ყრილობას ესწრებიან აზერბაიჯანის ახალგაზრდობის დელეგაცია აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ა. ვეზიროვის მეთაურობით, სომხეთის ახალგაზრდობის დელეგაცია სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის დ. ასრატიანის მეთაურობით. ყრილობის სტუმრებს შორის არის დელეგაცია კურსკის გარნიზონის მამაცი მეომრებისა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ დანაღმული სამომარი მასალის საწყობის ლიკვიდაციაში. დელეგაციას მეთაურობს საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი მ. დიასამიძე.

ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ.

სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ა. კობალაძემ.

შემდეგ ყრილობა შეუდგა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვას.

მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდნენ: კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. კაჭარავა, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ს. საყვარელიძე, კომკავშირის თელავის რაიკომის მდივანი მ. მეზვრიშვილი, კომკავშირის ახალქალაქის რაიკომის მდივანი ვ. გაბრიელიანი, ძველი კომკავშირული მუშაკი, საქართველოს ახალგაზრდობის პირველი კომუნისტური ორგანიზაციის — „სპარტაკის“ დამფუძნებელი ყრილობის დელეგატი დ. ლომაძე, ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეთა ბრიგადის ბრიგადირი ა. ბერულავა.

უკრავს ორკესტრი. მწყობრი ნაბიჯით დარბაზში შემოდან თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლები. საბჭოთა მეომრების სახელით ყრილობის დელეგატებს და საქართველოს მთელ ახალგაზრდობას მხურვალედ მიესალმა საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი ვ. სიროტინკინი.

ამით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა. (საქდესი).

რუსთავის 10 წლისთავის აღსანიშნავად

19 იანვარს რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში გაიმართა რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საიუბილეო სესია, მიძღვნილი ქალაქის 10 წლისთავისადმი. სესიაზე მოვიდნენ რუსთავის მშრომელთა წარმომადგენლები, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, მეტალურგიული ქარხნების მუშაკები, რომლებიც აქ იმყოფებიან, სტუმრები მარნეულისა და გარდაბნის რაიონებიდან. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან" ამხანაგები ვ. პ. მეავანაძე, გ. დ. ჯაავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ი. ს. დოლიძე, დ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, გ. ა. გეგეშიძე.

საიუბილეო სესიას შესავალი სიტყვით ხსნის რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. ვიშნიაკოვი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ ministrთა საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ქალაქის მშრომელთ მიესალმება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეავანაძე. იგი ამბობს, რომ რუსთავი არის ჩვენი სოციალისტური რესპუბლიკის პირმშო, რომელიც შეიქმნა ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის დახმარებით და მხარდაჭერით. ქალაქ რუსთავის მშენებლობა, მეტალურგიული, ქიმიური მრეწველობის შექმნა საქართველოში მთელი გმირი საბჭოთა ხალხის დამსახურებაა.

შემდეგ ამხ. ვ. მეავანაძე აცხადებს, რომ საქართველოს მშრომელები ამაყობენ რუსთავის შრომითი სახელით, მისი მეტალურგების. ქიმიკოსების, მეცენტენეების, მშენებლების წარმატებით, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებათა განხორციელებისათვის. იგი ლაპარაკობს მშენებელთა გამარჯვებაზე, რომლებმაც მოკლე ხანში ცარიელ, უნაყოფო ველში ააგეს დიდი ინდუსტრიული ცენტრი, ქალაქის განვითარების შემდგომ პერსპექტივებზე და მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ რუსთავის მშრომელები, ასრულებენ რა პატრიოტულ მოვალეობას, სამშობლოს მისცემენ სულ უფრო მეტ ლითონს, ცემენტს, მინერალურ სასუქს.

რუსთავის მშენებლებს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის სახელით მიესალმა ქარხნის დირექტორი ამხ. ს. შარაძენიძე. ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგშენის“ მთავარმა ინჟინერმა ლ. ვაინერმა სესიას მოახსენა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მშენებლთა მრავალათასოვანი კოლექტივის შრომითი გამარჯვების შესახებ, მათი შემდგომი ამოცანების შესახებ.

რუსთაველებს მიესალმნენ სუმგაიტის მშრომელთა სახელით სუმგაიტის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. ჯალილოვი, ენაყიეველი მეტალურგების სახელით ქარხნის რელსის კოჭის საამქროს უფროსი გ. ზოლოჩევსკი, ტაგანროგელი მეტალურგების სახელით — ქარხნის მარტენის საამქროს უფროსი ა. სეროფიანი, მარნეულის რაიონის კოლმეურნეთაგან — სოციალისტური შრომის გმირი მ. ჯაჯიევი. რუსთავის აზოტ-სასუქის ქარხნის კოლექტივის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ქარხნის დირექტორმა ამხ. ნ. ჭიპაშვილმა, ცემენტის ქარხნის კოლექტივის სახელით — მთავარმა ინჟინერმა ამხ. პ. სავინა�მ.

რუსთავის მშრომელებს მიესალმნენ აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნ. გომელაური, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ზ. კვახაძე, ბაქოს მილის ქარხნის საგლინავი საამქროს უფროსის მოადგილე ა. ზეინალოვი, რუსთავის ერთერთი პირველი მშენებელი კ. ლიხოტა.

დასასრულ საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. პ. გილაშვილმა ქალაქის მშრომელთა სახელით პირობა მისცა პარტიასა და მთავრობას, რომ რუსთაველები განამტკიცებენ მოპოვებულ წარმატებას. კვლავ უფრო თავადადებით იბრძოლებენ ახალ შრომთის გამარჯვებათა მოსაპოვებლად საყვარელი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. (საქდესი).

რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საიუბილეო სესია, მიძღვნილი ქალაქ რუსთავის შექმნის მე-10 წლისთავისადმი. ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეავანაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

მინსკში ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი

მინსკი, 19 იანვარი. (საკდესი). დღეს ბელორუსიის დედაქალაქში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის შესახვედრად მინსკის ვაგზალზე მოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ტ. მაზუროვი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ე. ავხიმოვიჩი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ი. კოზლოვი, ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ტ. ი. კისელიოვი, ტ. ს. გორბუნოვი, ი. ა სურგანოვი, დ. ფ. ფილიმონოვი, ბელორუსიის სამხედრო ოლქის სარდალი ს. კ. ტიმოშენკო, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. ფ. კლიმოვი, ა. ი. ზოლოვი, ბელორუსიის კომუნისტური პარტიის მინსკის საოლქო კომიტეტის მდივანი ვ. ფ. შაურო, ბელორუსიის კომუნისტური პარტიის მინსკის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. დ. რუდაკი, მინსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ი. შარაპოვი, ბელორუსიის სსრ მინისტრები, ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა არმიის გენერლები.

10 საათი და 10 წუთია. მატარებელი უახლოვდება ვაგზლის პერონს. ვაგონიდან გამოდის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი. მას მქუხარე ტაშით ხვდებიან შეკრებილნი. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი მეგობრულად ართმევს ხელს ბელორუსიის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

ძველი ხალხური ჩვეულების მიხედვით მშრომელთა დელეგაციამ — რუდენსკის რაიონის კოლმეურნეობა „პერამოგას“ თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ტ. ი. ჟიგალკომ, წარჩინებულმა კალატოზმა დ. გ. ბულახოვმა, მინსკის საავტომობილო ქარხნის მეფოლადემ ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა დ. ი. ბარაშკინმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს პურ მარილი მიართვეს.

პერონიდან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი და ბელორუსიის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გამოდიან ვაგზლის მოედანზე და მანქანებით მიემართებიან ქალაქში. რესპუბლიკის დედაქალაქის ქუჩებში ათასობით მშრომელი მხურვალედ მიესალმება ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს და მისი სახით დიდ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ვ. დ. გუდიაშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადებიდან 60 წლისთავთან და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით, ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, მიენიჭოს ვლადიმერ დავითის-ძე გუდიაშვილს საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1958 წლის 20 იანვარი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲦᲐᲥᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ

ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲒᲔᲜ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

★ ★ ★

ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ



ქარხანა „ლენსტანკოლიტის“ მიერ დამზადებული ლითონდამმუშავებელი ჩარხი-გიგანტი მსხვილგაბარიტიანი დეტალების საღარავად და გასაჩარხავად.

• • •



სვერდლოვის სახელობის ქარხანამ პირველობა დაიპაყურა სსრ კავშირის ჩარხმშენებელ საწარმოთა შორის. სურათზე: ამწყობი საამქრო № 2, აქ სერიულად უშვებენ „2620 A“ მოდელის შიგახარატების ჩარხებს.

• • •

კარლ მარქსის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ამწყობი ზეინკლები მ. შაროვი (წინა პლანზე) და ა. ზვერევი, რომლებიც თითქმის მუდამ ორ-სამმაგად ანაღდებენ ცვლის ნორმებს, სართავი მანქანების რეგულირებაზე მუშაობის დროს.

ᲢᲠᲐᲜᲡᲠᲝᲠᲢᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს 650 საწარმოს მრეწველობა ყოველდღიურად უშვებს 120 მილიონი მანეთის პროდუქციას. გარდა ნედლეულის მიღებისა და მზა ნაწარმის გაგზავნისა, შიდასაქარხნო ტრანსპორტირება შეადგენს დაახლოებით ერთ მილიონ ტონას დღეღამეში.

ამჟამად სატრანსპორტო სამმართველოს საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს იმ მომუჯნავე საწარმოო ძალებისა და საქარხნო ტრანსპორტის სამუალებების' გონივრული კოოპერაცია, რომლებიც საბარგო ოპერაციების ხასიათით განსაზღვრულ სადგურს მიეკუთვნებიან. ამასთან კოოპერირებას შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს.

მოვიყვანოთ მაგალითი ორი დიდი ორგანიზაციის — „ლენინგრადსლანეცის“ ტრესტის შახტების და გაზფიქალის ქარხნის საამქროების კოოპერაციისა, რომლებიც სადგურ რუდნიჩნაიას და სადგურ სლანცის (ოქტომბრის რკინიგზა) ახლოს არიან. წინათ ეს საწარმოები ორ სხვადასხვა სამინისტროს (ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის სამინისტროებს) ეკუთვნოდა. ტრესტ „ლენინგრადსლანეცის“ ცუდი მუშაობა იწვევდა გაზფიქალის ქარხნის მუშაობის შეფერხებას. ფიქლით დატვირთული მარშრუტები (ისინი კი დღეღამეში 30-მდეა) არათანაზომიერად მოძრაობდნენ. მიღებისა და ჩაბარების ოპერაციებზე დიდი დრო იხარჯებოდა, არ ჰყოფნიდათ საკუთარი მოძრავი შემადგენლობა, ამავე დროს ზედმეტი გარბენა 100 ათას ტონა-კილომეტრს აღემატებოდა. ორივე საწარმოს ჰქონდა ორი დამოუკიდებელი დეპო, სავაგონო უბნები, საგზაო დისტანციები, მოძრაობის სამსახური და დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორები.

სატრანსპორტო სამმართველომ გაგზავნა ბრიგადა, რომელმაც დეტალურად შეისწავლა ნაკლოვანებები. ორივე საწარმოში აღგილზე მოეწყო ბრიგადის წინადადებათა განხილვა. ბევრი საწინააღმდეგო მიზეზიც იყო წამოყენებული. მთელი განზოგადებული მასალა განსახილველად წარედგინა სახალხო მეურნეობის საბჭოს. ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭომ დაადგინა გაერთიანებულიყო სატრანსპორტო საამქროები, შექმნილიყო გაერთიანებული სატვირთავ-სატრანსპორტო სამმართველო გაზ-ფიქალის ქარხანასთან. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს გაერთიანება წელიწადში იძლევა დაახლოებით 3 მილიონ მანეთ ეკონომიას, მომსახურე პერსონალის რიცხვი მცირდება 30 კაცით, თავისუფლდება ორი ორთქლმავალი.

ამჟამად ლენინგრადის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტთან ერთად ვმუშაობთ რვა ქარხნის გასაერთიანებლად ლენინგრადი-სასაქონლო — ფინლიანდსკაიას სადგურის მიხედვით.

რამდენადმე განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება მოგვიხდება იმ დიდი ქარხნების მიმართ, რომლებიც ვასილის კუნძულებზე მდებარეობენ, ე. ი. მოწყვეტილი არიან სადგურებს. აქ ტვირთის ტრანსპორტირება ხდება სატვირთო ტრამვაით. ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად გადავწყვიტეთ მექანიზმები და მტვირთავები გადაგვეცა ტრამვაის სატვირთო პარკის ხელმძღვანელობაში. დასახულია მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოოპერირებაც.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც სახალხო მეურნეობის საბჭოს სატრანსპორტო სამმართველო მუშაობდა, ტვირთბედის დაგეგმვისა, რაციონალიზაციის და თვითღირებულების საკითხია.

ბევრი საწარმოს ანალიზმა და შემოწმებამ გვიჩვენა, რომ გასაღების განყოფილებები ეკონომს იმაზე მეტი რაოდენობით მოითხოვდნენ, ვიდრე საჭირო იყო. საჭირო შეიქნა დატვირთვის უფრო რაციონალური გზების გამონახვა.

ტექნიკური და ეკონომიური საკითხების განსახილველად სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკურ-ეკონომიურ საბჭოსთან შეიქმნა სატრანსპორტო სექცია, რომელშიც წარმოების მუშაკებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღონ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და რკინიგზის, სამდინაო და საავტომობილო ტრანსპორტის ინსტიტუტების მუშაკებმა.

რამდენიმე სიტყვა ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს სატრანსპორტო სამმართველოს სტრუქტურის შესახებ. სამმართველოში შედიან:

1. გადაზიდვის დაგეგმვისა და კონტროლის განყოფილება, რომლის ინჟინრები მუშაობენ გადაზიდვის დაგეგმვაზე და კონტროლს უწევენ გადაზიდვის მიმდინარეობას.

2. მისასვლელი გზებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის განყოფილება, სადაც შექმნილია საკმაოდ ძლიერი ჯგუფი სატრანსპორტო საამქროების ტექნოლოგიისა და კოოპერირებისა, იქვეა მექანიზაციის ჯგუფი.

3. სატარიფო-ეკონომიური და გადაზიდვის რაციონალიზაციის განყოფილება, რომელიც სწავლობს და ამზადებს ეკონომიურ საკითხებს.

4. საავტომობილო განყოფილება ამუშავებს და ამზადებს გადაზიდვის გეგმებს, ახორციელებს კონტროლს ცენტრალიზებული გადაზიდვისადმი, წყვეტს ავტომეურნეობათა კოოპერირებისა და რემონტის ცენტრალიზაციის საკითხებს.

ასეთია ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს სატრანსპორტო სამმართველოს აღნაგობა.

ა. ᲚᲐᲒᲣᲢᲘ,
ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს სატრანსპორტო სამმართველოს უფროსი.

ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

✪ სხვადასხვა სამინისტროებიდან და უწყებებიდან ლენინგრადის ეკონომიურ ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს მემკვიდრეობაში გადავიდა 150-ზე მეტი ქარხანა და ფაბრიკა, რომლებიც წლობით რჩებოდნენ ფინანსიურ გარღვევაში, ხოლო 50 საწარმო სისტემატურად, წლიდან წლამდე ვერ ასრულებდა სახელმწიფო გეგმას. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სრულყოფის ნიადაგზე ახლა რაიონში თითქმის აღარც მოიპოვება ჩამორჩენილი საწარმო.

✪ 40 წლის მანძილზე ლენინგრადის ლითონის ქარხნის კოლექტივმა მილიონობით კილოვატის სიმძლავრის 700-მდე ორთქლისა და ჰიდრავლიკური ტურბინა გამოუშვა, რაც ეყოფა არა „გოელროს“ ერთი, არამედ რამდენიმე გეგმის უზრუნველყოფას.

✪ მანქანებისა და დეტალების დასამზადებლად ბევრი სპეციალური ხელსაწყოა საჭირო. ხშირად მათ შესაქმნელად გაწეული ხარჯები თვით ნაკეთობის ღირებულებას აღემატება. დიდხანს მაინც რომ იყვნენ გამოსადეგი ეს ხელსაწყოები და ფარავდნენ მათზე გაღებულ ხარჯებს კიდევ არა უშავდა, მაგრამ ისინი გამოიყენებიან ერთი გარკვეული დეტალის მხოლოდ ცალკეულ ტექნოლოგიურ ოპერაციებზე და შემდეგ გამოუსადეგარნი ხდებიან. ლენინგრადის ზოგიერთმა საწარმომ შექმნა უნივერსალურ-ასაწყობ ხელსაწყოთა სისტემა, რაც წარმოადგენს ურთიერთ შემცვლელი, ნორმალიზებული, უხუსტესი და მეტად გამძლე ელემენტების კომპლექტს, რომელთაგანაც შეიძლება კონსტრუირებულ იქნას სხვადასხვანაირი სპეციალური ხელსაწყოები. ეს მეთოდი მრავალმილიონიანი ეკონომიის წყაროა.



საქვეყნოდ ცნობილი ქარხანა „ელექტროსილა“, ხარატი ა. სოროკინი ამუშავებს ჰიდროგენერატორის ღილვს.

ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ

საუბარი ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარესთან Ვ. Ნ. ᲜᲝᲕᲘᲙᲝᲕᲗᲐᲜ

ჩვენი ეკონომიური რაიონი ერთ-ერთი უდიდესია მთელ კავშირში. მის შემადგენლობაში შედის ქალაქ ლენინგრადის, ლენინგრადის, პსკოვისა და ნოვგოროდის ოლქების მრეწველობა და მშენებლობა. სახალხო მეურნეობის საბჭო აერთიანებს 800-ზე მეტ სამრეწველო საწარმოს, სამშენებლო ორგანიზაციასა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებას. რაიონში თავმოყრილია სამრეწველო წარმოების თითქმის ყველა სახე. ლენინის ქალაქის ქარხნებსა და ფაბრიკებში ამზადებენ ურთულეს მანქანებსა და ჩარხებს, უნიკალურ ტურბინებსა და გენერატორებს, ზუსტ ხელსაწყოებსა და მანქანებს, საზღვაო და საოკეანო გემებს, ნახევრადგამტარ ხელსაწყოებსა და ულტრაბგერის დანადგარებს, ქაღალდსა და ცელულოზას.

ეკონომიური რაიონის მრეწველობის ყველა დარგის კონკრეტული და კვალიფიციური ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად სახალხო მეურნეობის საბჭოს შემადგენლობაში შეიქმნა 23 დარგობრივი სამმართველო: მეტალურგიული მრეწველობის, მძიმე მანქანათმშენებლობის, საერთო მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ქიმიური, რადიოტექნიკური, გემთმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, კვების, ტყავფეხსაცმლის, თევზის, ცელულოზ-ქაღალდის, სატყეო მრეწველობისა და სხვა სამმართველოები.

გარდა დარგობრივისა, სახალხო მეურნეობის საბჭოში შეიქმნა 8 ფუნქციონალური სამმართველო და 13 დამოუკიდებელი ფუნქციონალური განყოფილება. კერძოდ, ჩვენ გვაქვს მძლავრი ტექნიკური სამმართველო და მასთან ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური ბიურო. ამ სამმართველოს ევალება ლენინგრადის მრეწველობაში ტექნიკური პოლიტიკის შექმნა და წარმართვა. სახალხო მეურნეობის საბჭოს შემადგენლობაში არის მომარაგებისა და გასაღების სამმართველო, ტრანსპორტის სამმართველო, კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, შეიქმნა აგრეთვე შიდარაიონული კოოპერირებისა და საწარმოთა სპეციალიზაციის დამოუკიდებელი განყოფილება.

ჩვენ, რასაკვირველია, ვერ დავიწყებთ მტკიცებას, რომ ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს სტრუქტურა სავსებით სრულყოფილია. ამისათვის მუშაობის ჯერ კიდევ გარკვეული პერიოდია საჭირო. და თუ გამოვნახავთ მართვის უკეთეს ფორმებს, რა თქმა უნდა, არ გამოვიკიდებით ძველს, ახლებურად გარდავქმნით მუშაობას.

ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნამ მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის გამოჩენის უფართოესი შესაძლებლობანი დასახა. მრავალრიცხოვანი მაგალითები და ფაქტიური ცხოვრება ადასტურებენ პარტიის მიერ გატარებულ ღონისძიებათა დროულობასა და სისწორეს.

თავდაპირველად ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭომ მთავარი ყურადღება მიაქცია წარმოების შიდარეზერვებისა და შესაძლებლობების გამოვლინებას, ეს რეზერვები ულეველი აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, წინათ არსებული საუწყებო დაქსაქსულობის გამო მრეწველობის მართვა შესაძლებლობას არ გვაძლევდა სწორად გაგვნაწილებინა რეზერვები და მასალები, მოგვეწყო რაციონალური კოოპერირება და საწარმოთა სპეციალიზაცია. ახლა კი ასეთი შესაძლებლობა ჩვენს ხელთ არის. მოვიყვან ასეთ მაგალითს. სხვადასხვა სამინისტროდან და უწყებებიდან სახალხო მეურნეობის საბჭოს სხვა საწარმოთა შორის მემკვიდრეობად გადაეცა 150-ზე მეტი ქარხანა და ფაბრიკა, რომლებსაც წლობით ჰქონდათ ფინანსური გარღვევა, და 50-მდე საწარმო, რომლებიც წლითიწლობით ვერ ასრულებდნენ საწარმოო გეგმებს. სახალხო მეურნეობის საბჭომ მუშაობის პირველი დღეებიდანვე ღრმად შეისწავლა შექმნილი მდგომარეობის მიზეზები. ამ საწარმოთა გაუმართავი მუშაობა შედეგი იყო იმისა, რომ ნათ საკმაო პრაქტიკულ დახმარებას არ უწევდნენ ყოფილი სამინისტროები და უწყებები, ცუდად ამარაგებდნენ ნედლეულითა და მასალებით, საკომპლექტო დეტალებით. საწარმოო გეგმების შესრულებას აბრკოლებდა აღჭურვილობის, მექანიზაციის ნაკლებობა. ცალკეული საწარმოები სრულიად უსაფუძვლოდ იტვირთებოდნენ შეკვეთებით, რომლებიც არ შეესაბამებოდა მათს საწარმოთა პროფილს.

გასული წლის ჯერ კიდევ ივლისაგვისტოში სახალხო მეურნეობის საბჭომ გასწია დიდი მუშაობა ნედლეულისა და მასალების ხელახლა განაწილებისათვის, რომლებიც ჭარბად იყო ზოგიერთ საწარმოში და რომლის ნაკლებობას ძალზე განიცდიდნენ სხვა საწარმოები.

თუ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაობის პირველ თვეებში ჩვენს ეკონომიურ რაიონში ითვლებოდა 150-ზე მეტი საწარმო, რომლებსაც საფინანსო გარღვევა ჰქონდათ, და 50-ზე მეტი ქარხანა და ფაბრიკა, რომლებიც საწარმოო გეგმებს ვერ ასრულებდნენ, ამჟამად არსებითად ასეთი საწარმოები აღარა გვაქვს. ფაბრიკებისა და ქარხნების უმრავლესობა ამჟამად უფრო რიტმულად და რენტაბელურად მუშაობს.

სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველოებმა და კერძოდ, მთავარი მექანიკოსისა და მოწყობილობის განყოფილებამ მეტად დიდი მუშაობა გასწიეს გამოუყენებელი მოწყობილობის გამოვლინებისა და ხელახლა განაწილებისათვის.

მრეწველობის მუშაკებმა გამოავლინეს ასეულ ათასობით ჩარხი, მანქანა და სხვა აგრეგატი, რომლებიც ფუჭად იდგა საამქროებში ან საწყობებში, მაშინ როცა ასეთი მოწყობილობა მეტისმეტად საჭირო იყო. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ადრე არსებული საუწყებო დაქსაქსულობის გამო ერთი ქარხანა ვერ მიიღებდა საღარავ ჩარხს მეორე ქარხნიდან, ვინაიდან ისინი სხვადასხვა სამინისტროს ექვემდებარებოდნენ. მრეწველობის მართვის გარდაქმნამ მოსპო უწყებრივი ბარიერები. ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში სახალხო მეურნეობის საბჭომ რაციონალურად გაანაწილა 3 ათასზე მეტი ერთეული სხვადასხვა მოწყობილობა, რომელიც ახლა მოქმედებს და სარგებლობა მოაქვს ჩვენი მრეწველობისათვის.

ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც სახალხო მეურნეობის საბჭომ არსებობის პირველი დღეებიდანვე მოკიდა ხელი, ეს არის საწარმოთა შიდარაიონული კოოპერირება და სპეციალიზაცია. ეს მუშაობა ეკონომიური რაიონის თვითეული საწარმოს ღრმა შესწავლით დაიწყო. სწორი კოოპერირებისა და სპეციალიზაციის ორგანიზაციის მიზნით სახალხო მეურნეობის საბჭომ ჯერ კიდევ აგვისტოში შექმნა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მეცნიერი მუშაკების ბევრი ბრიგადა, რომლებიც ორი-სამი განმავლობაში ყოველმხრივ სწავლობდნენ თვითეულ ქარხანასა და ფაბრიკას და არკვევდნენ საც, რა და როგორ მზადდება, სწავლობდნენ საწარმოთა ტექნიკურ და ორგანიზაციულ შესაძლებლობებს, და მხოლოდ ამის შემდეგ ბრიგადებმა სახალხო მეურნეობის საბჭოს წარუდგინეს თავიანთი კონკრეტული, წინადადებანი სწორი კოოპერირების ორგანიზაციისა და სპეციალიზაციის პრაქტიკულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. მიღებულ იქნა კონკრეტული გადაწყვეტილებები ფოლადის, თუჯისა და ფერადი სხვულის წარმოების სპეციალიზაციის დარგში. ლენინგრადის საწარმოებში არის 80 თუჯსამსხმელო საამქრო. მათგან 41 საამქრო წვრილია, ცუდად არის მექანიზებული, მათი სიმძლავრე წელიწადში 1 ათას ტონას აღწევს. სახალხო მეურნეობის საბჭომ გადაწყვიტა უახლოეს ორ წელიწადში დახუროს 30-მდე წვრილი საამქრო, თუჯის სხვულის წარმოებას თავი მოუყაროს საათანადო შენობებში, განახორციელოს იქ დამატებითი აღჭურვა და მექანიზაცია. ვფიქრობთ ამით თუჯის სხვულის წარმოება არა თუ არ შევამციროთ, არამედ საგრძნობლად გავადიდოთ კიდეც. ამასთან ეს შესაძლებლობას მოგვცემს აღარ შემოვიტანოთ 20 ათასი ტონა სხვული სხვა ეკონომიური რაიონებიდან. მთელი რიგი ღონისძიებანი ხორციელდება ფოლადისა და ფერადი სხვულის წარმოების, ავეჯის წარმოების, აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების სპეციალიზაციისათვის. სახალხო მეურნეობის საბჭოს კოოპერირებისა და სპეციალიზაციის განყოფილება საწარმოებისა და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა დიდ ჯგუფთან ერთად ამჟამად მნიშვნელოვან რომლებსაც სახალხო მეურნეობის საბჭო წყვეტს და ახორციელებს. კერძოდ, მეტად მნიშვნელოვანი და დიდი ადგილი უკავია საბჭოს საქმიანობაში ზრუნვას საწარმოთა ტექნოლოგიური სამსახურების განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის, საწარმოებში სრულფასოვანი საკონსტრუქტორო ბიუროების შექმნისათვის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვისათვის.

გამოვიდა რა 1957 წელს ეკონომიურ რაიონებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად და გამოიწვია რა შეჯიბრებაში მოსკოვის საქალაქო და სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოები, ლენინგრადის ეკონომიური რაიონის საწარმოთა კოლექტივი თავდადებით შრომობდა წლიური გეგმის გადამდე შესრულებისათვის, პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, ტექნიკური პროგრესში ახალი წარმატებებისათვის. ლენინგრადელთა ეს შრომითი ღონისძიებანი შესანიშნავი გამარჯვებებითა და მიღწევებით დაგვირგვინდა. ჩვენ ადრე, 14 დეკემბრისათვის შევასრულეთ წლიური საწარმოო გეგმა. ლენინგრადის საადმირალოს ქარხნის გემთმშენებლებმა კონსტიტუციის დღეს წყალში ჩაუშვეს მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“. რაიონის მრეწველობამ 1957 წელს ქვეყანას მისცა 300 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმიური ეკონომია.



ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ლენინგრადის ეკონომიური რაიონის მეტი წილი ქარხნები აშენებულია მანქანათა და ხელსაწყოთა წარმოების წრიული ციკლით. ამის გამო საწარმოთა შემადგენლობაში, ძირითად საამქროებთან ერთად, მოქმედებენ დამამზადებელი, აგრეთვე დამხმარე საამქროები. საწარმოთა ეს ჩამოყალიბებული პროფილი და შემადგენლობა ვერ აკმაყოფილებს სოციალისტური წარმოების ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს.

ამიტომაც ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივმა სამმართველოებმა და ფუნქციონალურმა განყოფილებებმა 1957 წლის ივლისიდან დაიწყეს მუშაობა საწარმოთა პროფილირებისა და სპეციალიზაციის ამოცანების გადასაჭრელად.

პირველ რიგში შესწავლილ იქნა დამამზადებელი წარმოების მდგომარეობა მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის საწარმოებში. ამის საფუძველზე გადაწყდა განხორციელდეს სამსხმელო წარმოების და რუხი, ფერადი, ფასონური და ზუსტი სხვულის პროფილირების ცენტრალიზაცია, აგრეთვე მიღებულ იქნა დადგენილება 1958-1960 წლებში ყოველგვარი სხვულის კოოპერირებულ მიწოდებათა მოწესრიგების შესახებ.

სამსხმელო წარმოების მდგომარეობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ თუჯსამსხმელო საამქროებისა და უბნების საერთო რიცხვის თითქმის ნახევარი წვრილი საამქროები და უბნებია, რომლებიც წელიწადში რამდენიმე ასეული ტონამდე სხვულს იძლევიან; ერთ მესამედს შეადგენენ მცირეძალიანი საამქროები, რომლებიც წელიწადში 3.000-მდე ტონა სხვულს შეადგენენ; დაახლოებით ერთ მეოთხედს შეადგენენ საშუალო სიმძლავრის საამქროები, რომლებიც წელიწადში 3.000-დან 10.000-მდე ტონა სხვულს იძლევიან, და მხოლოდ ოთხი საამქრო, დიდი, რომლებიც უშვებენ წელიწადში 10.000-დან 25.000-მდე ტონა სხვულს.

სამსხმელო წარმოების მდგომარეობის ამავე შესწავლამ გვიჩვენა, რომ, რადგანაც არ არის სათანადო მექანიზაცია და მრავალ წვრილ საამქროში სჭარბობს მძიმე და ნაკლებ ნაყოფიერი ხელით შრომა, ერთი მუშის გამომუშავება 2-3ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე საშუალო და მსხვილი სამსხმელო საამქროებში, სადაც მექანიზაცია საშუალო დონეზე დგას.

გამორკვეულია, რომ წვრილ საამქროებში კომპლექსური მექანიზაცია ეკონომიურად არ ნაზღაურდება, ამიტომ სამსხმელო წარმოების შემდგომი განვითარება და მისი ტექნოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესება შეიძლება მიღწეულ იქნას სამსხმელო ბაზების ოპტიმალური გამსხვილებისა და მათი სპეციალიზაციის პირობით.

საკითხის დეტალური დამუშავების შედეგად თუჯსამსხმელო წარმოების 80 მოქმედი საამქროსა და საწარმოს ნაცვლად დატოვებულია 15 ცენტრალიზებული ბაზა, რომელთაგან ხუთის რეკონსტრუქცია მიმდინარე წელს განხორციელდება. წელსვე დამთავრდება ერთი ახალი საამქროს მშენებლობა და 3 მოქმედი საამქროს რეკონსტრუქცია მცირე კაპიტალის დაბანდებით.

ასეთივე ღონისძიებანი განხორციელდა ფოლადსამსხმელო წარმოების ხაზითაც. 17 ფოლადსამსხმელო საამქროს ნაცვლად დატოვებულია 12 საბაზო საამქრო, რომელთაგან ოთხის რეკონსტრუქცია 1958-59 წელს უნდა მოხდეს. გარდა ამისა, ფოლადის სხვულზე რაიონის მზარდი მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად დასახულია იეორის ქარხანაში აშენდეს ახალი ფოლადსამსხმელო საამქრო.

ლითონსამსხმელო საამქროების გამსხვილებასთან ერთად 1958-59 წლებში თანდათანობით მოხდება თუჯის სხვულის 30 წვრილი საამქროს და უბნის, ფერადი სხვულის 39 და ფოლადის სხვულის სამი უბნის ლიკვიდაცია.

დამთავრდა ყდანოვის სახელობის ქარხნის ბაზაზე ლენინგრადის მთელი ეკონომიური რაიონისათვის მასობრივი მოხმარების ელექტროდების დამზადების ცენტრალიზაციის საკითხის შესწავლა.

გადაწყდა განხორციელდეს ყდანოვის სახელობის ქარხნის ელექტროდების საამქროს რეკონსტრუქცია იმ ვარაუდით, რომ წლიურად გამოუშვას 30.000 ტონა ელექტროდები, ხოლო სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში არსებული ელექტროდების დანარჩენი 24 საამქრო დაიხუროს.

დამხმარე წარმოებაში შერჩეულია მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, რომ საჭიროა საკრისების, აგრეთვე ტვიფრებისა და წნეხყალიბების წარმოების ცენტრალიზაცია.

ამჟამად მთავრდება მუშაობა აღნიშნული ინსტრუმენტების წარმოების ცენტრალიზაციის დარგში. კიროვის სახელობის ქარხნის განთავისუფლებული საამქროლოს ბაზაზე ეწყობა 7 მილიონი ცალი საკრისის წარმოების ცენტრალიზაცია. ამ საკრისების დამზადებისაგან გათავისუფლდება მანქანათმშენებლობის საწარმოთა 130 საამქრო. ეს დონისძიება მოგვცემს 50.000.000 მანეთ ეკონომიას წელიწადში.

უფრო მეტ ეკონომიას მივიღებთ, როცა შევუწყვეტთ ტვიფრებისა და წნეხყალიბების დეცენტრალიზებულ დამზადებას და მოვაწყობთ ერთ ცენტრალურ ბაზას მათი წარმოებისათვის.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს იმ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რომელიც აქვს ლენინგრადის საწარმოების კოოპერაციის დარგში. ამ საქმეში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ვიწრო უწყებრივ მოსაზრებებს, რაც იწვევს საგრძნობ დანაკარგებს.

ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ღონისძიებანი მიმართულია არარაციონალური კოოპერაციის აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით ხორციელდება კოოპერაციის ძირეული გარდაქმნა ლენინგრადის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის მრეწველობის პროფილირებისა და ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა შემდგომი სპეციალიზაციის საფუძველზე, როგორც დამამზადებელი და დამხმარე წარმოების ნაწილში, ისე ძირითადი წარმოების ნაწილში.

როგორც ტექნოლოგიური, ისე დეტალებისა და საგნების სპეციალიზაციის სწორი განვითარებისათვის, აგრეთვე კოოპერირების რაციონალიზაციის მიზნით ძირეულად იცვლება ლენინგრადის ეკონომიური რაიონის საწარმოთა პროფილირება.

ამ მუშაობის დროს მხედველობაშია მიღებული ის გარემოება, რომ ლენინგრადი იყო და კვლავ არის მანქანათმშენებლობის საკავშირო ლაბორატორია. მანქანათმშენებლობა და ხელსაწყოთმშენებლობა აქ მომავალშიც ყველაზე კვალიფიციურად და აჟურულად იწარმოებს.

ლენინგრადის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის საწარმოთა სპეციალიზაციის პერსპექტიული განვითარების კომპლექსური გეგმის საფუძველზე სწორად და დროულად გადაიკვრება რაციონალური კოოპერაციის ამოცანები.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ წარმოების რაციონალიზაცია ის გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც გვავალებს სოციალისტური ეკონომიკის მწვერვალების მისაღწევად განუწყვეტლივ ავდიოდეთ სპეციალიზაციის ფორმების დაუსრულებელი კიბის ერთი საფეხურიდან მეორეზე.

Ა. ᲙᲝᲜᲖᲚᲝᲕᲘ,
ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალიზაციისა და კოოპერირების განყოფილების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიზიარებენ საწარმოო გამოცდილებას

სახალხო სამეურნეო საბჭოს მუშაკები

★ ★ ★

ჩვენი ხვალინდელი დღე

ა. ბობროვი,
ლენინგრადის სახალხო მეურნეობის
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

1958 წლის სახალხო სამეურნეო გეგმა ითვალისწინებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის შემდგომ მძლავრ წინსვლას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას. ლენინგრადის ეკონომიურ რაიონში საერთო პროდუქციის მოცულობა 1957 წლის გეგმასთან შედარებით გადიდდება 9,1 პროცენტით, აქედან წარმოების საშუალებათა წარმოებაში — 14,4 პროცენტით.

ახალი ტექნიკის დარგში 1958 წლის სამუშაოთა გეგმით 5 ათასზე მეტი მარტო სამეცნიერო თემა უნდა დამუშავდეს, რაზეც დაიხარჯება 900 მილიონი მანეთი.

შავი მეტალურგია ლენინგრადის რაიონში, უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში მიაჩნდათ როგორც დროებით არსებული დარგი, რომლის განვითარება საჭირო არ არის. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს აზრი მცდარია.

დღემდე სხვრეული წარმოება დაქსაქსული იყო ბევრ ქარხანაში. თუჯსამსხმელო საამქროებისა და უბნების დიდი ნაწილი წვრილი და ნახევრადკუსტარული ტიპისაა. სამსხმელო წარმოების შემდგომი განვითარება ჩვენს პირობებში შეიძლება მიღწეულ იქნას ძირითადად სპეციალიზებულ სამსხმელოების გამსხვილების, სპეციალიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის გზით, მათი რეკონსტრუქციით და ნაწილობრივ თანამედროვე მექანიზებული საამქროების მშენებლობის დამთავრებით.

მძიმე მანქანათმშენებლობის სამმართველოს წარმოებათა სპეციალიზაციის მდგომარეობა ერადმაკმაყოფილებელია და მოითხოვს მოწესრიგებას. მაგალითად, ერთი ტიპის ნაკეთობების — რედუქტორების წარმოება დაქსაქსულია ექვს სამმართველოს რამდენიმე ქარხანაში.

დასახულია შემდგომი სამუშაოები ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის, მათ შორის, სპეციალიზებული ჩარხების შექმნის ნაწილში მთელი რიგი თემების დამუშავება, რომლებიც მამართულია დამხმარე დროის შემცირებისაკენ. 1958 წელს უნდა განხორციელდეს მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნების სრული სპეციალიზაცია.

ახალი ტექნიკის გეგმით გათვალისწინებულია 65 ახალი ტიპის მანქანების შექმნა. მომავლისათვის გამიზნულია: უფრო მძლავრი და ტექნიკურად სრულყოფილი მანქანების დაპროექტება და დამზადება, მათ შორის 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის ორთქლის ტურბინის შექმნა, 300-400-600 ათასი კილოვატი სიმძლავრის ორთქლის ტურბინებისა და 300-500 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრის ჰიდროტურბინების დაპროექტება.

საერთო მანქანათმშენებლობის სამმართველოს ხაზით უმნიშვნელოვანესი ამოცანებია: ჩარხების კონსტრუქციის შემდგომი სრულყოფა დამხმარე დროის შემცირების მიზნით, ამავე დროს ჩარხებზე დეტალთა დამუშავების რეჟიმის ამაღლება, ავტომატების, ნახევრადავტომატების, სპეციალური და საგრეგატო ჩარხების შექმნა, ახალი სახეობის და მაღალი წარმადობის საკრელი ღარაღებისა და საზომი ხელსაწყოების გამოშვება. გათვალისწინებულია აგრეთვე დამზადება სრულყოფილი ავტომატური და ნახევრადავტომატური მანქანებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას. გამოშვებული იქნება გადიდებული სიგანის ყალიბის მანქანები, რომლებზედაც საგაზეთო ქაღალდის გამოშვების სიჩქარე აყვანილ იქნება 750 მეტრამდე წუთში, გარდა ამისა გამოშვებული იქნება სტრიქონჩამომსხმელი მანქანები, ვიკოზური და კაპრონის შტაპელის გამოსამუშავებელი აგრეგატები (20 ტონამდე წარმადობით დღეღამეში), დიდი წარმადობის ძაფსაგრეხი მანქანები, რომელთა თითისტრების სიჩქარე აყვანილი იქნება 16-18 ათას ბრუნვამდე წუთში...

ლენინგრადის ეკონომიური რაიონის **გემთმშენებლობაში** 1958 წლისათვის ახალი ტექნიკის დარგში უმნიშვნელოვანესი სამუშაოებია: მძლავრი ატომური ყინულმჭრელის მშენებლობის დამთავრება, 25 ათასი ტონა წყალწყვის ახალი ტანკერების, ხე-ტყის საზიდი ხომალდების, საზღვაო სამგზავრო თბომავლებისა და სხვა ახალი გემების მშენებლობა.

ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს **ელექტროტექნიკურ მრეწველობას** წამყვანი ადგილი უჭირავს სსრ კავშირში.

ახალი ტექნიკის დანერგვის თვალსაზრისით ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკების მთავარ ყურადღებას იპყრობს: 200 ათასი კილოვატის სიმძლავრის ტურბოგენერატორებისა და ჰიდროგენერატორების, 110 და 220 კილოვატიანი საჰაერო გამომრთველების, ახალი სახეობის მაღალი სიხშირის კაბელების, ავტომატზებული ელექტროშესადუღებელი და ელექტროთერმული მოწყობილობის შექმნა, 200-300 ათასი კილოვატის სიმძლავრის ტურბოგენერატორებისა და ჰიდროგენერატორების გამოშვება, მათ შორის ტურბოგენერატორებისა, რომლებსაც ექნებათ უფდმივი და ცვლადი დენის მაღალვოლტიანი აპარატურის ჩქაროსნული გამგრილებლები, ნაკადური ხაზების შექმნა აკუმულატორების, მაღალვოლტიანი იზოლატორების წარმოებისას, აგრეთვე ავტომატური და ნახევრადავტომატური შედუღების ფართოდ დანერგვა ელექტროტექნიკურ ნაკეთობათა დამზადების დროს.

რადიოტექნიკური მრეწველობა ყველაზე ახალგაზრდა დარგია ლენინგრადის ეკონომიურ რაიონში. ყველაზე მეტად აქ განვითარდნენ საწარმოები, რომლებიც უშვებენ სატელევიზიო მოწყობილობას, სახომალდო რადიოაპარატურას, კავშირგაბმულობის რადიოსადგურებს.

ახალი ტექნიკის დარგში გათვალისწინებულია: სატელევიზიო ტექნიკის შემდგომი განვითარება, მათ შორის ფერადი ტელევიზიის შესაქმნელად დიდი სამუშაოების შესრულება, რადიომაუწყებლობის, რადიოკავშირგაბმულობის ტექნიკის, ელექტროვაკუუმური და ნახევრად გამტარი ხელსაწყოებისა და რადიოდეტალების შემდგომი განვითარება, მინიატურული რადიოელემენტების და მინიატურული რადიოაპარატის შექმნა.

ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობაში სიახლე გამიზნულია საზომი (მაჩვენებელი და მარეგისტრირებელი), საწარმო პროცესების კონტროლისა და მართვის ხელსაწყოების შემდგომ სრულყოფისაკენ, ახალ სახეობათა ხელსაწყოების წარმოების მნიშვნელოვნად გაფართოებისაკენ, მუშაობაში იმ ქარხნების ჩაბმით, რომლებიც ამჟამად დაბალხარისხოვანი პროდუქციით არიან გადატვირთულნი.

შემუშავებულია დიდი ღონისძიებანი რაიონის **ქიმიური მრეწველობის** მნიშვნელოვანი განვითარებისათვის.

ალბათ მალე ლენინგრადში შემოვა 4 მილიარდი კუბური მეტრი გაზი წელიწადში. ნავარაუდევია, რომ მარტო 250 მილიონი კუბური მეტრი გაზის გადამუშავებისას წელიწადში მიღებული იქნება: 24 ათასი ტონა პოლიქლორვინილი — ლინოლეუმის, მილებისა და სახალხო მოხმარების სხვა ნაკეთობათა წარმოებისათვის, 10 ათასი ტონა პოლიეთილენი (8-ჯერ მსუბუქი ლითონზე), რომლისგანაც შეიძლება გაკეთდეს წყალსადენის, ასე ვთქვათ, მარადიული მილები, 13,5 ათასი ტონა აციტატური აბრეშუმი, 15 ათასი ტონა ეთილია მცენარეული ზეთების შესაცვლელად, 330 ათასი ტონა აზოტის სასუქები სოფლის მეურნეობისათვის და მრავალი სხვა.

ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს **პოლიგრაფიული მრეწველობის** მუშაკებმა, ვის მიერ გამოშვებული ნაწარმიც საბჭოთა კავშირის მთელი ნაბეჭდი პროდუქციის 30 პროცენტს შეადგენს, ყურადღება უნდა მიაქციონ შემდგომი ღონისძიებების განხორციელებას: პოლიგრაფიული მრეწველობის საპროექტო-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-საკვლევი ბაზის შექმნას, პოლიგრაფიული საწარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირებას; სამუშაოებს, მიმართულს **გამოსაშვები პროდუქციის** ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, მათ შორის ფერადი და შავი პოლიგრაფიული საღებავების ახალი ნიმუშების დამუშავებას, ფერადი ბეჭდვის გაფართოებას, სტამბების შექმნას მხატვრულ გამოცემათა დასაბეჭდად და სხვ.

საჭიროა პოლიგრაფიულ წარმოებაში დანერგოს უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესები, ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია, მაღალი წარმადობის უფრო სრულყოფილი მოწყობილობა, წიგნების, ბროშურებისა და სხვათა დამამზადებელი ნაკადური ტექნოლოგიური ხაზები და სხვა.

ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობაში ახალი ტექნიკის 1958 წლის გეგმით წარმოებაში დანერგება მეტი წარმადობის ქაღალდისსაკეთებელი მანქანები და 4-6 მაკრონიანი სპეციალური ქაღალდის დამამზადებელი მანქანები.

სვიატოგორსკის ცელულოზ-ქაღალდისა და პრიოზერსკის ცელულოზის ქარხნებში ათვისებულ იქნება ხელოვნური აბრეშუმისათვის გაკეთილშობილებული ვისკოზური ცელულოზის გამოშვება. ამას გარდა ათვისებენ აგრეთვე ახალ სახეობათა პროდუქციას (საბოლოციო ქაღალდი, სპეციალური დანიშნულების მუყაო, საფილტრაციო მუყაო).

სატყეო მრეწველობაში შემუშავდება ლენინგრადის ეკონომიური რაიონის მასშტაბით ხე-ტყეთ მომპარაგებისა და ხე-ტყის დამზადების ორგანიზაციის გენერალური სქემა, შეიქმნება სატყეო მრეწველობის საპროექტო-საკონსტრუქტორო ბაზა და ტყესაკაფების კომპლექსური დამუშავებისა და ტყის დარგვის საცდელი ბაზა.

ლენინგრადის ეკონომიური რაიონის **საფეიქრო მრეწველობის** საწარმოები 500 მილიონ მეტრზე მეტ ქსოვილებს ამზადებენ ყოველწლიურად.

1958 წელს უმნიშვნელოვანესი ამოცანებია: ქსოვილების ასორტიმენტის გაფართოება და ახალი მრავალფეროვნების, შეღებილობის, შეფერადების გაუმჯობესება დეფიციტური ბოკკოების შემცველ ლენტებისაგან ბოკკოების კომბინირების გზით, ნართისა და ქსოვილების ხარისხის გაუმჯობესება და უკმუქნავი, წყალშეუღებელი ქსოვილების შექმნა, მცირეგაბარიტიანი მანქანების წარმოებაში გაშვება და სხვა ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც შემდეგ უზრუნველყოფენ ღამის ცვლების შემცირებას, გამომუშავების შეუმცირებლად საფეიქრო საწარმოთა გადაყვანას შვიდსაათიან სამუშაო დღეზე.

ლენინგრადის **ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობაში**, ჩვენს ქვეყანაში პირველად, ჩაისახა ფეხსაცმლეულ რეზინის ლანჩის მიწებების ცხელი ვულკანიზაციის მეთოდი, ფეხსაცმლის შეკერვის კონვეიერული ხაზი. ჩვენმა რაიონმა პირველმა მოაწყო ტყავის შემკვლელთა საწარმოებში ტყავმუყაოს, ხელოვნური კრაველისა და ზამშის დამუშავება.

ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში დიდი მნიშვნელობა ექნება ხელოვნური ზამშის მწარმოებელი ნახევრადავტომატური ხაზების ორგანიზაციას და ამუშავებას, რომელთა საპროექტო სიმძლავრე იქნება 1 მილიონი კვადრატული მეტრი ზამშა, მაგიდის მუშაობის წარმოების ათვისებას სინთეზური ლატექსების ბაზაზე, რაც წელიწადში გაათავისუფლებს 1.000 ტონამდე სპირტის ზეთს, გადაუჭიმავად ფეხსაცმლის შეკერვის ახალი პროგრესული ტექნოლოგიის შემოღებას, რაც მოგვცემს ტყავის მასალის 10 პროცენტამდე ეკონომიას.

ახალი ტექნიკის დარგში ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს **ყვების, თევზის, ხორცისა** და **რძის** მრეწველობის ძირითადი მიმართულებებია: ყვების ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოება, მისი ხარისხისა და გაფორმების გაუმჯობესება, ნაცვლად საყვები ცხიმებისა, სინთეზური პროდუქტების დანერგვა ყველისა და სალარიფუმერიო მრეწველობაში, წარმოების უწყვეტი პროცესების ტექნოლოგიის შემდგომი გაუმჯობესება საკონდიტრო, საპნის, ლუდის, ღვინოსპირტის მრეწველობაში, ყვების მრეწველობის ყველა დარგში დამთავრებული მექანიზებული ნაკადური ხაზების შექმნა და საწარმოო პროცესების მაქსიმალური ავტომატიზაცია.

სამშენებლო და საშენ მასალათა მრეწველობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მშენებლობის გაღაფვანას ინდუსტრიულ მეთოდებზე, საშენ მასალათა სამრეწველო ბაზის მკვეთრად გაფართოებას.

შეიცვალა, მაგალითად, ფართოდ იყენებს ფიქლის ნაცარს საკედლე ელემენტების, ტიხრების, ფილების წარმოებისათვის. რატომ არ შეუძლია ლენინგრადის ეკონომიურ რაიონს, რომელსაც ფიქლის დიდძალი ნარჩენები აქვს, მოაწყოს ანალოგიური წარმოება.

ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, იტალიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში ეკონომიურად ხელსაყრელად მიაჩნიათ აზბესტისა და ცემენტის ნაზავისაგან საკანალიზაციო მილებისა და მათი ნაწილების დამზადება. ეს იწვევს ლითონის დიდ ეკონომიას, 4-ჯერ ამცირებს წონას და საგრძნობლად აიაფებს.

საშენ მასალათა მრეწველობაში 1958 წლისათვის მოსალოდნელია შემდეგი სიახლენი: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნაკადურობის, სამშენებლო კონსტრუქციებში ახალი პროგრესული მასალების—დაძაბულ-არმირებული რკინაბეტონის, უჯრედოვანი ბეტონების, სინთეზური მოსაპირკეთებელი მასალების და სხვ. დანერგვა.

რაიონის საწარმოო ძალთა განვითარებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ **ენერგეტიკა** და **სათბობი.**

1958 წლის გეგმებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სამრეწველო საწარმოთა გაზიფიკაციის მოსამზადებელ სამუშაოებს.

როგორც აღვნიშნეთ ლენინგრადის ეკონომიური რაიონი უახლოეს წლებში მიიღებს 4 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს, რაც შეცვლის 4 მილიონზე მეტ ტონა შორიდან მოტანილ სათბობს. დასახულია 215 საწარმოს გადაყვანა გაზსა და კომბინირებულ სათბობაზე, აგრეთვე ღონისძიებანი სათბობი აპარატურის სრულყოფისათვის.

ეჭვი არ არის, რომ სახელოვანი ტრადიციების მატარებელი ლენინგრადის მუშათა კლასი წარმატებით დასძლევს ამ ამოცანებს სამშობლოს ინტერესებისათვის. ხვალინდელი დღე უფრო ბრწყინვალე და ნათელი იქნება ჩვენი ეკონომიური რაიონის მრეწველობისათვის.

მომარაგებისა და გასაღებისათვის

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების სამმართველო, რომელიც ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში მისი არსებობის პირველ დღეებიდანვე შეიქმნა, დახმარებას უწევს საწარმოებს წარმოებისა და მშენებლობის წლიური პროგრამის მთლიანად და გადაკარბებით შესრულებაში, აღგენს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წლიურ გეგმას, სწავლობს ლენინგრადის ეკონომიურ რაიონში არსებულ მომარაგებისა და გასაღების ორგანოების სისტემას, ამუშავებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ახალ ორგანიზაციას, რომელიც გამომდინარეობს მრეწველობის მართვის ახალი სისტემის უპირატესობებიდან, აწარმოებს მუშაობას გასაღების დარგში.

თავისი მუშაობის მნიშვნელოვან ამოცანად სამმართველოს მიაჩნია ოპერატიული დახმარება გაუწიოს საწარმოებს წარმოებისა და მშენებლობის გეგმების მთლიანად და გადაკარბებით შესრულებაში. საწარმოთაშორის დახმარების გაწევის მიზნით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველომ დარგობრივ სამმართველოებთან ერთად, რესურსების გადანაწილების გზით, შექმნა ლიმონის, ნაგლინის, მილების, ლითონის ნაკეთობათა ნედლეულის, საშენი მასალებისა და სხვ. რეზერვი. მთელი რიგი მასალები დამატებით არის გამოთხოვილი და მიღებულია რსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისაგან; წარმოებაში ჩაბმულია ზენორმატიული მარაგის ნაწილი, დაწყებულია მუშაობა არალიკვიდური მასალათა და ნაკეთობათა გადანაწილებისათვის და ამით მნიშვნელოვანი დახმარება გაეწიოთ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებს.

მაგალითად, სათბობის რესურსების ნაკლებობის გამო ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს მთელი რიგი საწარმოები გაჩერების მიჯნაზე იყო, სათბობის რესურსების გადანაწილების შედეგ ამ საწარმოებისათვის გამოიყო 15 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი და 2,5 ათასი ტონა მაზუთი; მეტალურგიული მრეწველობის სამმართველომ დამატებით მიიღო 12.000 ტონა მაზუთი და 33.000 ტონა ქვანახშირი, რამაც უზრუნველყო 1957 წლის გეგმის ვადამდე შესრულება.

ამასთან ერთად გვაქვს დიდი ნაკლოვანებებიც: ჯეროვნად არ არის შესწავლილი როგორც საწარმოთა მოთხოვნილებები, ისე რაიონში არსებული რესურსები. მნიშვნელოვანი ზენორმატიული მარაგი და არალიკვიდური მასალები ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული წარმოებაში: ზოგ საწარმოში მასალების დეფიციტია, ზოგში კი ეს მასალები ზედმეტია. არასაკმარი ფონდებისა და არასრული რეალიზაციის გამო დაძაბული მდგომარეობაა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მასალებისა და სათბობის დარგში, რაც მუშაობაში შეფერხებათა საშიშროებას ქმნის.

როგორც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიაზე, დაქსაქსულობა ხელს არ უწყობს მომარაგების საქმის გაუმჯობესებას, ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაერთიანდეს მომარაგებისა და გასაღების ფუნქციები და შეიქმნას არსებული წვრილი მომმარაგებელი კანტორების საფუძველზე მომარაგებისა და გასაღების მსხვილი სადარგთაშორისო სპეციალიზებული ბაზები, რომლებიც სახალხო მეურნეობის საბჭოებს დაექვემდებარება.

იმ მიზნით, რომ მოეწყოს პროდუქციის გასაღება ლენინგრადის ეკონომიური რაიონის ფარგლებს გარეთ, მომარაგებისა და გასაღების სამმართველოში აგვისტოში შეიქმნა გასაღების განყოფილება, რომლის ამოცანას შეადგენს პროდუქციის მიწოდების შესრულებისადმი კონტროლის გაწევა ფონდებისა და განრიგების მიხედვით სამმართველოებისა და ქარხნების გამსაღებელი ორგანოების მეშვეობით.

ოთხიოდე თვის განმავლობაში მარტო გასაღების განყოფილებაში შემოვიდა 527 საჩივარი მასალებისა და ნაწარმის მიწოდებაზე ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებიდან, შემოსულ თხოვნებსა და საჩივრებზე დაწესებულია კონტროლი, მიღებულია ღონისძიებანი მათი შესრულებისათვის. საწარმოებში გამეზარების გზით, დარგობრივი სამმართველოების დახმარებით, წყდება გაგზავნის დაჩქარების საკითხები. დაწესებულია კონტროლი მოწყობილობისა და ნაკეთობათა მიწოდების დარგში მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. მომხმარებლებს რეგულარულად ეძლევათ ინფორმაცია შეკვეთების შესრულების მდგომარეობასა და მიწოდებათა მიმდინარეობაზე. ბევრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ნორმალური საქმიანი ურთიერთობა დამყარდა.

მთელ რიგ საწარმოთა შემოწმების შედეგების მიხედვით მომზადებულ იქნა წინადადებანი გასაღების დარგში მუშაობის მოსაწესრიგებლად, მაგალითად, ხორცისა და რძის, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის სამმართველოებში. ეს წინადადებები განხილულ იქნა ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით, მოხსენდა სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელობას.

საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში გასაღების ხაზით მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შესწავლისათვის, რათა შემუშავებულ იქნას წინადადებანი მისი გაუმჯობესების შესახებ.

ა. ლებედი,
მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს უფროსი.

სართავ-საქსოვი ფაბრიკა „ოქტიაბრსკაიას" საქსოვი წარმოების მოსამზადებელი განყოფილების მქსელავი ა. პისანოვა დაზგასთან.

* * *

მანქანათმშენებელი ქარხანა „კრასნაია ვაგრანეა" ჩვენი ქვეყნის თამბაქოს ფაბრიკების მოსამარაგებლად ამზადებს მაღალი წარმადობის ავტომატებს. ჩამოწყობა ავტომატები ერთ წუთში აწყობს, აწებებს და აშრობს პაპიროსის 100 კოლოფს.

ზეინკალი ა. მიჩურინი (წინა პლანზე) და ბრიგადირი ვ. ნიკიფოროვი არეგულირებენ ავტომატებს.

* * *

„ლენლესის" ტრესტის ბოლხოეკის კანტორის ხე-ტყის დამამზადებლები.

ციფრები და ფაქტები

✪ ლენინგრადის ეკონომიური რაიონის მრეწველობამ ვადამდე — 14 დეკემბრისათვის გაანაღდა წლიური სახელმწიფო დავალება. ამ ხნის განმავლობაში ასეულ ათასობით ახალი სახის პროდუქცია იქნა ათვისებული. მიღწეულია 300 მილიონი მანეთის ზეგეგმიური ეკონომია.

✪ უწყებრივი ბარიერების გაუქმებამ კარგი პირობები შექმნა ჩამორჩენილ საწარმოთა წამოსაწევად. მაგალითად, კარლ მარქსის სახელობის ქარხანა თავს ვერ არომევდა დროულად დეტალების მექანიკურ დამუშავებას. ჩამორჩენილს მხარში ამოუდგნენ ქარხნები „ვულკანი", „ლენპოლიგრაფმაში", „პნევმატიკა" და საქმე უკეთ წარიმართა. მრეწველობის მართვის რეორგანიზაციამდე ეს ქარხნები სხვადასხვა სამინისტროთა და უწყებათა სისტემაში შედიოდნენ და ასეთი შესაძლებლობა პრაქტიკულად არ არსებობდა. მარტო მიწერ-მოწერისა და შეთანხმებისათვის საჭირო იყო თვეები. ახალ პირობებში კი ეს საკითხი სამ დღეში მოგვარდა.

✪ ორ თვეში სახალხო მეურნეობის საბჭომ 400 დაზგა და აგრეგატი, რომელიც უქმად სცდებოდა ზოგიერთ ქარხანასა თუ ფაბრიკაში, გადასცა წარმოებებს, რომლებიც ამ მანქანების უკიდურეს საჭიროებას განიცდიდნენ.

✪ უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად რაიონში სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა კიროვის ქარხანა. კოლექტივმა იკისრა 20 დეკემბრისათვის გაანაღდოს 1958 წლის სახელმწიფო დავალება, დაზოგოს 3 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, გეგმის ზევით საექსპლოატაციოდ გადასცეს 3.500 მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაციონალიზატორული წინადადებების, ტექნიკურ გაუმჯობესებათა და ახალ გამოგონებათა დანერგვით დაზოგოს ნავარაუდევზე ერთი მილიონი მანეთით მეტი.

ტექნიკურ-ეკონომიური საბჭო

ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან შექმნილია და უკვე მეექვსე თვეა ნაყოფიერად მუშაობს ტექნიკურ-ეკონომიური საბჭო, რომლის მიზანია მშრომელთა ფართოდ და აქტიურად ჩაბმა ლენინგრადის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის მრეწველობისა და მშენებლობის მართვაში.

საბჭოს წევრთა დიდი პროცენტი — 62 კაცი სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო انსტიტუტების, ცენტრალური საკონსტრუქტორო ბიუროს, უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლებია. მათ შორის არიან აკადემიკოსი ა. ფ. იოფე, აკადემიკოსი მ. ბ. კოსტენკო, მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ა. ე. ალექსეევი, მეცნიერებათა 35 დოქტორი და კანდიდატი.

ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოს აქტიური წევრები არიან აგრეთვე 45 მუშა და წარმოების ნოვატორი ოსტატი.

ლენინგრადის ეკონომიური რაიონის მრეწველობის მთელი მრავალფეროვნების გათვალისწინებით ტექნიკურ-ეკონომიურ საბჭოში შექმნილია 14 ფუნქციონალური და დარგობრივი სექცია მრეწველობისა და სპეციალიზაციის სხვადასხვა დარგების მიხედვით: მეტალურგიული მრეწველობის სექცია, მანქანათმშენებლობის სექცია, ელექტროტექნიკური მრეწველობის, რადიოხელსაწყოთმშენებლობის, სპეციალური მრეწველობის, ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის სექციები, ქიმიური მრეწველობის, კვების მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის, ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის სექციები, წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის სექცია, მშენებლობისა და საშენი მასალების მრეწველობის სექცია, სათბობისა და ენერგეტიკის სექცია და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სექცია.

ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკურ-ეკონომიური საბჭო მუშაობას ეწევა საბჭოს წევრების სხდომების წელიწადში 3-4-ჯერ მოწვევით. გადაწყდა დარგობრივი და ფუნქციონალური სხდომები მოეწყოს კვარტალში ორჯერ მაინც, სამუშაოთა გეგმების შესაბამისად.

ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოს მუშაობის გეგმას ამუშავებს ამ საბჭოს ხელმძღვანელობა სექციების, ტექნიკური სამმართველოს, დარგობრივი სამმართველოების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებისა და ორგანიზაციების წინადადებათა საფუძველზე და ამ გეგმას ამტკიცებს სახალხო მეურნეობის საბჭო.

ამას წინათ გაიმართა ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოს სხდომა, რომელშიც ფართო მონაწილეობა მიიღეს სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, ნოვატორებმა და წარმოების მოწინავეებმა, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებმა. სხდომაზე განხილულ იქნა ძირითად მიმართულებათა საკითხი და ახალი ტექნიკის დარგში სამუშაოთა 1958 წლის გეგმის საკითხი.

ვრცელი მოხსენება გააკეთა სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ი. ბობროვმა. მოხსენება არსებითად იყო პროგრამა ლენინგრადის ეკონომიური რაიონის სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციებისა და მრეწველობის საქმიანობისა სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დარგში 1958 წელს, აგრეთვე შემდგომ შვიდ წელიწადში ახალი ტექნიკის დასანერგავად.

ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოს სხდომას წინ უძღოდა დარგობრივი სექციების სხდომები ახალი ტექნიკის დარგში 1958 წლის გეგმების შესახებ, რომლებიც გაიმართა მანქანათმშენებლობის სექციაში, ქიმიური მრეწველობის, მეტალურგიული მრეწველობის სექციებში, კვების მრეწველობის სექციაში, სათბობისა და ენერგეტიკის სექციაში და სხვა სექციებში.

დასახულია 300-400-600 ათასი კილოვატ სიმძლავრის ორთქლის ტურბინებისა და 300-500 ათასი ცხენისძალის სიმძლავრის ჰიდროტურბინების დაპროექტება და შექმნა. სექციის სხდომაზე განხილულ იქნა დიზელმშენებლობის, სავაგონო ფლოტის გემებისათვის უალრესად ეკონომიური ორთქლ-გაზის დანადგარების შემდგომი განვითარების საკითხები. საერთო მანქანათმშენებლობის საწარმოებში 1958 წელს დაპროექტდება და დამზადდება 200-ზე მეტი ტიპის ახალი მანქანები და მექანიზმები, რომლებითაც აღჭურვება ქიმიური მრეწველობის, პოლიგრაფიული, საფეიქრო მრეწველობისა და მრეწველობის სხვა დარგების ქარხნები და საწარმოები.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების და ახალი ტექნიკის დანერგვის 1958 წლის გეგმებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქიმიური მრეწველობის სექციის სხდომაზე. მნიშვნელოვნად უნდა განვითარდეს საცდელ-საკონსტრუქტორო, სამეცნიერო-საკვლევი ბაზები წამყვან საწარმოებში არსებული ლაბორატორიებისა და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროების გაფართოების, დარგობრივი საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროებისა და საპროექტო انსტიტუტის შექმნის გზით.

ახალი ტექნიკის დარგში მუშაობის გეგმებს განიხილავენ დარგობრივი სამმართველოების სექციებზე ან ტექნიკურ თათბირებზე და მათ განხილვაში ფართო მონაწილეობას იღებენ მეცნიერები, ინჟინრები და ტექნიკოსები, წარმოების ნოვატორები და მოწინავეები.

ახალი ტექნიკის დანერგვის 1958 წლის გეგმა, რომელიც ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭომ შეიმუშავა, ითვალისწინებს ლენინგრადის ეკონომიური რაიონის საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას ძმიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ბაზაზე. ახალი ტექნიკის გეგმების წარმატებით შესრულების მიზნით ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭომ ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოს რეკომენდაციით დასახა სამეცნიერო-საკვლევი და საცდელ-საკონსტრუქტორო ბა'ის განმტკიცების მთელი რიგი ღონისძიებანი. ამ მიზნით შეიქმნება მთელი რიგი სპეციალური საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიუროები, საწარმოო ბაზები, გაფართოვდება არსებული სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიები და შეიქმნება ახლები მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის, ქიმიური, კვების მრეწველობის და ბევრი სხვა დარგის წამყვან საწარმოებში.

ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკურ-ეკონომიურ საბჭოს წერილობით მიმართავენ სახალხო მეურნეობის საბჭოების წარმომადგენლები ივანოვოდან, თბილისიდან, კრასნოდარიდან, სტალინოდან, ომსკიდან, სარატოვიდან და სახალხო მეურნეობის ბევრი სხვა საბჭოდან სხვადასხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებში გასარკვევად.

სახალხო მეურნეობის საბჭოებს შორის ასეთი კონტაქტი ყოველი ღონისძიებით უნდა ფართოვდებოდეს და ვითარდებოდეს, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას პირადი ურთიერთობა, პერიოდული პრესა და ტექნიკური ინფორმაციის ბიულეტენები.

ამავამად ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან მუშაობა დაიწყო ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალურმა ბიურომ, რომელიც მოწოდებულია ოპერატიულად და რაც შეიძლება სრულად გააშუქოს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საბჭოების მიღწევები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, უველაზე კიდევ უფრო განამტკიცებს კონტაქტს ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოსა და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საბჭოებს შორის.

ი. გლუშკო,
ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკურ-ეკონომ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

დეპუტატ პ. ი. ჩხოტუაძის სიტყვა

— ეს სესია, — ამბობს დეპუტატი ჩხოტუაძე, — მიმდინარეობს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებით. საბჭოთა ადამიანებმა, შეაჯამეს რა წარმატებანი, რომლებიც საიუბილეო წელს მოიპოვა ჩვენმა დიადმა სამშობლომ, ახალი ენერგიითა და მომავლის მტკიცე რწმენით დაიწყო მეექვსე ხუთწლედის მესამე წლის ამოცანების შესრულება.

ქუთაისის მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს გასული წელი. ქალაქის მრეწველობამ ვადამდე, 19 დეკემბრისათვის, შეასრულა წლიური გეგმა და წლის დამლევამდე 50 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

ეს წარმატებანი შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს ღონისძიებანი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციისათვის. ხელმძღვანელობის წარმოებასთან მიახლოებამ, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ზრდამ შესაძლებელი გახადა მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევა.

აღნიშნავს რა წარმატებებს, დეპუტატი ჩხობაძე ამასთანავე ხაზს უსვამს ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის ქალაქის მრეწველობის მუშაობაში. კერძოდ, დღემდე არიან მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც სისტემატურად ვერ ასრულებენ დავალებებს, უშვებენ მდარე ხარისხის პროდუქციას, არ იჩენენ მომჭირნეობას ნედლეულის, ელექტროენერგიის ხარჯვაში. ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული საწარმოო სიმძლავრეები.

როგორც უკვე აღინიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიაზე, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საპროექტო სიმძლავრე გამოყენებულია მხოლოდ 20 პროცენტით. დასამთავრებელია რამდენიმე საწარმოო კორპუსისა და საცხოვრებელი სახლის აშენება, რომელთა საერთო ღირებულება 150 მილიონ მანეთს შეადგენს. საჭიროა გამოიყოს სახსრები, რათა დამთავრდეს რესპუბლიკის საავტომობილო მრეწველობის პირმშოს მშენებლობა. ორატორი სთხოვს სესიას გამოჰყოს აგრეთვე დამატებითი ასიგნობანები ქუთაისის კეთილმოწყობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელი რიგი ობიექტების მშენებლობისათვის.

დეპუტატმა ჩხობაძემ მოიწონა სესიის განსახილველად წარმოდგენილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და შეიტანა წინადადება მათი დამტკიცების შესახებ.

დეპუტატ ა. ე. მელაძის სიტყვა

თავის სიტყვაში ამხ. მელაძემ ილაპარაკა იმაზე, თუ რა სამუშაოები შესრულდა ქალაქ თბილისში საბინაო და კომუნალური მშენებლობის დარგში. ახალი საცხოვრებელი ფართობების საექსპლოატაციოდ გადაცემის სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 136 პროცენტით. მარტო საქალაქო საბჭოს ხაზით საექსპლოატაციოდ გადაცემულია 19.513 კვადრატული მეტრი ახალი ბინები, რაც თითქმის ერთიორად მეტია 1956 წელთან შედარებით. ქალაქში მოასფალტებულია 553.556 კვადრატული მეტრი ტროტუარი და ქუჩების სავალი ნაწილი. მოკირწყლულია 198 ათასი კვადრატული მეტრი. გაფართოდა წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი, გადიდდა ტროლეიბუსის ხაზების სიგრძე, დარგულია ასეული ათასობით ხე და ბუჩქი ლენინის რაიონში აშენდა კინოთეატრი და სკოლა. რეკონსტრუირებულია მთელი რიგი შენობები და სხვ.

მიუხედავად ამისა, ქალაქ თბილისის შემდგომი კეთილმოწყობისათვის კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. ქალაქის მოსახლეობა ჯერ კიდევ განიცდის წყლისა და ელექტროენერგიის ნაკლებობას. შემდგომ უნდა გაფართოვდეს ღვარსაშვები მეურნეობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ქსელი. ქალაქში კვლავ იგრძნობა საბინაო ფართობის მწვავე ნაკლებობა.

ორატორი ლაპარაკობს სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმის შესახებ. წლის საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 20 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, რაც მხოლოდ უმნიშვნელოდ გადააჭარბებს გასული წლის ფაქტიურ შესრულებას. ამასთან დაკავშირებით დეპუტატი სთხოვს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს გადიდოს ასიგნობანი საბინაო მშენებლობისათვის.

1959 წლის დამლევისათვის თბილისი მიიღებს გაზს. ამ დროისათვის ქალაქში უნდა დამთავრდეს გაზსადენი ქსელის მშენებლობის მთელი სამუშაოები. მიმდინარე წელს ამ სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 20 მილიონი მანეთი.

1958 წელს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გათვალისწინებული აქვს შესრულდეს მთელი რიგი გადაუდებელი სამუშაოები ქალაქის კეთილმოწყობის, ქუჩების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის. გათვალისწინებულია გაჯრძელდეს შაუმიანის ქუჩა, გაყვანილ იქნას ახალი მაგისტრალი, რომელიც შეაერთებს ვაკესა და საბურთალოს, გაყვანილ იქნას გზატკეცილები ლისის ტბიდან სოფელ წოდორეთამდე და კახეთის გზატკეცილიდან სოფელ მარტყოფამდე და სხვ.

დასასრულ დეპუტატი მელაძე ამბობს, რომ იგი სავსებით იწონებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმას და სახელმწიფო ბიუჯეტს.

დეპუტატ გ. ი. ბერულავას სიტყვა

დეპუტატი ბერულავა ლაპარაკობს აფხაზეთის ასსრ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებებზე. სოხუმის მრეწველობამ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცა 20 მილიონ მანეთზე მეტის პროდუქცია. კარგად იმუშავეს ტყვარჩელის მაღაროელებმა, რომლებმაც ქვანახშირის ამოღების წლიური დავალება 101 პროცენტით შეასრულეს. გასულ წელს, ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უხვი მოსავალი მოიყვანეს. მაგალითად, სიმინდი ორჯერ მეტია მიღებული, ვიდრე 1956 წელს. შესრულებულია სახელმწიფოსათვის მწვანე ჩაის ფოთლის, მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმები. დიდი წარმატებებია მიღწეული მეთამბაქოობაში. კოლმეურნეობებმა 15 იანვრისათვის სახელმწიფოს ჩააბარეს 9.152 ტონა თამბაქოს ნედლეული, რაც წლიური გეგმის 122 პროცენტს შეადგენს. ასეთი რაოდენობით თამბაქო აფხაზეთში მრავალი წელია არ მოსულა. მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნეთა შემოსავალი, გაიზარდა შრომადღის ღირებულება.

კრიტიკულად შეაფასა რა გაწეული მუშაობის შედეგები, დეპუტატმა აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. არ სრულდება საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დავალებანი. მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შარშან შეასრულა 88,2 პროცენტით, ხოლო საბინაო მშენებლობისა — 87,3 პროცენტით.

— ჩვენ, — ამბობს იგი, — დიდი რეზერვები გვაქვს, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს სამრეწველო პროდუქციის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების, კერძოდ, რძისა და ხორცის წარმოების შემდგომ გადიდებას.

დეპუტატი მოითხოვს, რომ მშენებლობის საჭიროებისათვის საკმაო რაოდენობით გამოიყოს მანქანები, მექანიზმები და მოწყობილობა. იგი ამბობს, რომ საჭიროა გადიდდეს ასიგნობანი მშენებლობის მუშებისათვის ბინების ასაშენებლად. აგრეთვე სოხუმის რაიონში 30 მილიონი ცალი წლიური წარმადობის სილიკატური აგურის ქარხნის ასაგებად, ოჩამჩირის აგურკრამიტის ქარხნის, სოხუმის ავეჯის ფაბრიკის, გუდაუთის ღვინის ქარხნის მშენებლობის დასაჩქარებლად, პუოის ქარხნისა და სხვა სამრეწველო ობიექტების რეკონსტრუქციისათვის, აგრეთვე მოითხოვს გადაიტრას შრომის კარიერის დამუშავებისა და მის ბაზაზე კირის ქარხნის მშენებლობის საკითხი.

დეპუტატი ბერულავა მხარს უჭერს წინა ორატორების წინადადებას, რომ დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა და 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

დეპუტატ მ. გ. მაისურაძის სიტყვა

ორატორმა ილაპარაკა თეთრი წყაროს რაიონის მშრომელთა შრომითს აღმავლობაზე, რომლებიც იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ენერგიული შრომით მათ წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელის ბრძოლაში სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა რაიონის კოლმეურნეობებში წინა წელთან შედარებით გადიდდა 1.100 სულით, ღორის სულადობა — 1.200, ცხვრისა — 5.000 სულით. 1957 წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიღებულია 60 ცენტნერი რძე ნაცვლად წინა წლის 51 ცენტნერისა. გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეული კულტურებისა და ყურძნის დამზადების გეგმები. ახლა რაიონში გაჩაღებულია ბრძოლა მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარებისათვის, რომლებიც საკოლმეურნეო წარმოების ჩამორჩენილი დარგებია. შარშან მოიწყო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ექსკურსია სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც მათ ბევრი რამ სასარგებლო შეიძინეს. მოწინავე მეურნეობათა მაგალითისამებრ ბევრმა კოლმეურნეობამ უკვე ააგო მეფრინველეობის ახალი ფერმები. შეუდგა ფერმებთან მწვანე კონვეიერის შექმნას.

რაიონში ბევრია უხვი მოსავლის ოსტატი, რომელთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ კოლმეურნეობებში კიდევ არის დიდი გამოუყენებელი რეზერვები. ორატორს მოჰყავს მაგალითი, როცა ორ კოლმეურნეობას, რომლებიც თანაბარ პირობებში იმყოფებიან ბუოს სხვადასხვა შედეგი აქვს. ეს იმას მოწმობს, რომ კოლმეურნეობებს არ უწევენ სათანადო დახმარებასა და ხელმძღვანელობას.

ილაპარაკა რა რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობაზე, დეპუტატმა მაისურაძემ აღნიშნა ნაკლოვანებანი ამ საქმეში. კურორტი მანგლისი დღემდე უზრუნველყოფილი არ არის სასმელი წყლით, ელექტროენერგიით. მისი ქუჩები კეთილმოწყობილი არ არის. ცუდად არის რაიონში სოფლების ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის საქმე.

ორატორმა თავისი სიტყვის დასასრულს პირობა მისცა სესიას, რომ რაიონის მშრომელები ყოველ ღონისძიებას მიიღებენ, რათა ღირსეულად შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

დეპუტატ ი. ი. მარგველაშვილის სიტყვა

აჭარის ასსრ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გასული წელი წარმატებით დაამთავრეს, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცეს 67 მილიონი მანეთის პროდუქცია. კოლმეურნეთა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მექანიზატორთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგად მიღებულია ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების უხვი მოსავალი, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პირველი წარმატებანი მოიპოვეს პარტიის მიერ დასახული იმ ამოცანის შესრულებაში, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. კოლმეურნეობებმა გაადიდეს წველადობა, წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქციის ჩაბარების დავალებანი.

ბათუმში ფართოდ გაჩაღდა საბინაო მშენებლობა. შარშან მუშა-მოსამსახურეთა 920 ოჯახს მიეცა ახალი ბინები. ამჟამად ქალაქში კიდევ შენდება მთელი რიგი საცხოვრებელი სახლები, მიმდინარეობს შემდგომი კეთილმოწყობის სამუშაოები, უმჯობესდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები. ორატორი აყენებს საკითხს, რომ გამოიყოს დამატებითი ასიგნობანი ქალაქის წყალსადენის გაფართოებისათვის, აგრეთვე საბინაო მშენებლობის გაზრდილი ტემპის დასაკმაყოფილებლად ზოგიერთი სახეობის საშენი მასალების წარმოებისათვის. იგი ამბობს, რომ საჭიროა ბათუმის წყალმომარაგების გაუმჯობესება და სატელეფონო მეურნეობის ავტომატიზაცია.

ორატორს მიზანშეწონილად და დროულად მიაჩნია, რომ კომუნალური მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მართვა თავმოყრილ იქნას რაიონებისა და ქალაქების ერთ ორგანოში, რაც გააადვილებს და გაუმჯობესებს ხელმძღვანელობას. იგი აყენებს აგრეთვე საკითხს, რომ წესრიგზე იქნას მოყვანილი რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები.

— საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა, — ამბობს დეპუტატი, — სავსებით ასახავენ ამოცანებს, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე მიმდინარე წელს. ისინი მოწმობენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის სისტემატურ ზრდას. მათი მიზანია შემდგომ გაუმჯობესდეს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და ამაღლდეს მათი ცხოვრების დონე.

რესპუბლიკის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

დეპუტატ გ. ი. ძაგოევის სიტყვა

— სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, — ამბობს დეპუტატი ძაგოევი, — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ ცხოვრებას აშენებს ოსი ხალხი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებს დიდ რუს ხალხთან, მოძმე ქართველ და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობაში. სამხრეთ ოსეთის მშრომელები გულითად მადლობას უძღვნიან კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას იმ უდიდესი დახმარებისათვის, რომელსაც ისინი უწევენ ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას.

ყოველდღიურ დახმარებას, რასაც პარტია და მთავრობა სამხრეთ ოსეთის მშრომელებს უწევენ, მოწმობს ოლქის ბიუჯეტი, რომელიც 1958 წელს 6,7 პროცენტით დიდდება 1957 წელთან შედარებით.

სესიის განსახილველად წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს მშრომელთა ძირეულ ინტერესს ითვალისწინებენ.

ასიგნობანი, რომლებიც გათვალისწინებული ბიუჯეტით ჩვენი ოლქისათვის, და ღონისძიებანი, რომლებიც დასახულია სახალხო-სამეურნეო გეგმით, ხელს შეუწყობენ ოლქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

მოიწონა რა მოლიანად სახალხო-სამეურნეო გეგმა, დეპუტატმა ძაგოევმა შეიტანა წინადადება, რომ გეგმით გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე მთელი რიგი საკითხების გადაჭრა, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ოლქის ეკონომიკისათვის. კერძოდ, მან შეიტანა წინადადება დაჩქარდეს მადნეულის ახალი საბადოების სამრეწველო მარაგის ძიება იმ მიზნით, რომ მათ ბაზაზე შეიქმნას სამთო მრეწველობა.

დასასრულ დეპუტატი ძაგოევი შეუერთდა წინადადებას იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.

დეპუტატ ი. ფ. სამცოვის სიტყვა

უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა, — ამბობს თავის გამოსვლაში დეპუტატი სამცოვი, — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვის ახალი გამოვლინებაა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პროექტში დიდი ყურადღება ექცევა სოციალისტური ინდუსტრიის და პირველ რიგში მძიმე მრეწველობის განვითარებას, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკის ყველა დარგის განვითარებას.

ორატორი ლაპარაკობს რუსთავის მშრომელთა წარმატებებსა და მიღწევებზე. ისინი აძლიერებენ თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ცემენტის, ქიმიური სასუქების წარმოების ტემპს, ავითარებენ საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების მშენებლობას.

მიღწეულ წარმატებათა მიუხედავად, — აღნიშნავს დეპუტატი, — ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ამერიკაკასიის მეტალურგიული ქარხანის კოლექტივმა ვერ შეასრულა 1957 წლის საწარმოო პროგრამა. ქარხანაში სუსტად იყენებენ წარმოების არსებულ რეზერვებს. რუსთაველმა მეტალურგებმა გასულ წელთან შედარებით წელს ფოლადის გამოდნობა უნდა გაადიდონ 25 პროცენტით და მეტით, მიაღწიონ იმას, რომ ღუმელის ქვედის თვითეულ კვადრატულ მეტრზე მიიღონ 8-9 ტონა ფოლადი, 20 პროცენტით გაადიდონ მილების წარმოება. ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ქარხანაში ხორციელდება მეოცე რიგი ღონისძიებანი, რომელთა ბაზაზეა შემდგომი ტექნიკური პროგრესი და წარმოების კულტურის ზრდა.

იგი ლაპარაკობს აგრეთვე ნაკლოვანებებზე მეტალურგთა საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. რუსთავის მცხოვრებნი საკმაო რაოდენობით არ არიან უზრუნველყოფილნი წყლით. ბევრი ინდივიდუალური მენაშენე სამეურნეო მუშაკთა მხრივ სუსტი დახმარების გამო უზრუნველყოფილი არ არის საშენი მასალებით.

ახალი წლის დამდეგიდან ქალაქის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების აღსანიშნავად. ნაკისრია გადიდებული ვალდებულებანი, რომლებიც წარმატებით ხორციელდება. რუსთაველთა მრავალთაანიანი კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს, რათა აღმოფხვრას ნაკლოვანებანი და გადაჭარბებით შეასრულოს სახელმწიფო დავალებანი.

დეპუტატ ე. ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვა

დეპუტატმა ანდრონიკაშვილმა თავისი სიტყვა მიუძღვნა საბჭოთა მეცნიერების უდიდეს წარმატებებს, საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, ტექნიკოსების, მუშების პატრიოტულ გმირობას, რომლებმაც მსოფლიოში პირველებმა შექმნეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები, რამაც ახალი ერა დასახა მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში.

საბჭოთა მეცნიერების მიღწევანი, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, საკმაოდ კანონზომიერია. ისინი გამომდინარეობენ თვით სოციალისტური წყობილების ხასიათიდან, რომელიც ემყარება ზუსტ მეცნიერულ საფუძვლებს და ქმნის ყველაზე ხელსაყრელ პირობებს მეცნიერულ-ტექნიკური აზრის განვითარებისათვის. ეს გიგანტური ნახტომი მომავლის გზაზე შეეძლო განეხორციელებინა სწორედ ჩვენს ქვეყანას, რადგან მეცნიერები ჩვენში გარემოსილი არიან საყოველთაო ყურადღებით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი მამობრივი ზრუნვით.

შემდეგ დეპუტატი ანდრონიკაშვილი ლაპარაკობს საქართველოში მეცნიერული აზრის განვითარებაზე. რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფართოდ განვითარდა მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრი დარგი. ქართველი მათემატიკოსების, ფიზიკოსების, ასტრონომების, ფიზიოლოგების და სხვა საეციალობათა მეცნიერების ბევრი გამოკვლევის შედეგებს იყენებენ მსოფლიოს სხვა ქვეყნების მეცნიერები. დიდი კვლევა წარმოუბს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებაში, ამ დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაჩაღებას დიდად შეუწყობს ხელს ატომგული რეაქტორის ამუშავება, რომელიც განკუთვნილია მეცნიერული კვლევიათვის.

დეპუტატი ანდრონიკაშვილი ლაპარაკობს მთელ რიგ საკითხებზე, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უფრო ფართოდ გაჩაღებას, კერძოდ, საჭიროა მივაღწიოთ სიზუსტესა და ოპერატიულობას საკვლევ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ინსტიტუტებისათვის ხელსაწყოებისა და მასალის მიწოდების ვადების შემცირებაში.

ორატორი აკრიტიკებს მშენებელ ორგანიზაციებს, რომლებიც ფუშავენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებს. 26 მილიონი მანეთიდან, რაც ასიგნებული იყო 1957 წელს მეცნიერებათა აკადემიის მშენებლობისათვის, დანიშნულებისამებრ გამოყენებულია სულ 15,7 მილიონი მანეთი. ორატორი სთხოვს უმაღლესი საბჭოს სესიას დაავალოს მშენებელ ორგანიზაციებს 1958 წელს უზრუნველყონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება.

დეპუტატ ბ. ი. ჩოგოვაძის სიტყვა

დეპუტატმა ჩოგოვაძემ ილაპარაკა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა გასული წლის მუშაობის შედეგებზე. საერთო პროდუქციის მოცულობით გეგმა შესრულებულია 102,5 პროცენტით. წლიური გეგმის გადამეტებით ამოღებულია დიდძალი ქვანახშირი, გამომუშავებულია ათობით ლითონსაჭრელი ჩარხი, ასობით ავტომობილი, მილიონამდე მეტრი ბამბის ქსოვილები, დაახლოებით 200 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი და სხვ. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი.

— ეს წარმატებანი, — ამბობს ამხ. ჩოგოვაძე, — პირველ რიგში აიხსნება იმ უპირატესობით, რომელიც შესაძლებელი გახდა ტერიტორიული ნიშნით მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შედეგად. მან შექმნა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ახალი ზრდის უფრო ხელსაყრელი პირობები. ფართოდ არის გამოყენებული მრეწველობის შინაგანი რეზერვები. მაგალითად, მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს საწარმოებში გამოვლინებულია წელიწადში 5 ათას ტონაზე მეტი მოცულობის თუჯისა და ფოლადის სხმულის გამოშვების დიდი გამოუყენებელი რეზერვები. ამან საშუალება მოგვცა მიგვეღო გადაწყვეტილება რომ თუჯისა და ფოლადის სხმულების წარმოება თავმოყრილი ყოფილიყო ყველაზე დიდ და მექანიზებულ საამქროებში და მოგვეხდინა ზოგიერთი საწარმოს პატარა სამსხმელო საამქროების ლიკვიდაცია. შეწყდა ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებიდან ფოლადის სხმულის არარაციონალური კოოპერირებული შემოტანა. წარმოების რეზერვების გამოყენებამ და ფართო საქარხანათშორისო კოოპერაციამ შესაძლებელი გახადა უარი გვეთქვა მთელი რიგი დეტალებისა და კვანძების შემოზიდვაზე მანქანათმშენებელი და სხვა დარგების მრეწველობისათვის.

სახალხო მეურნეობის საბჭომ განახორციელა საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა. წვრილი ავტომეურნეობებისა და დარგობრივ სამმართველოთა ავტოგასაჩერებლების ნაცვლად იქმნება გაერთიანებული ავტობაზები. ასეთი ბაზების შექმნამ რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში მკვეთრად გააუმჯობესა საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის მაჩვენებლები.

ამასთან ერთად ორატორმა ილაპარაკა ნაკლოვანებებზე, რომლებიც არის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა საქმიანობაში. მან აღუთქვა სესიას, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს საქართველოს ეკონომიური რაიონის მრეწველობის შემდგომი, კიდევ უფრო მეტი განვითარებისათვის.

დეპუტატ დ. ხ. საბაშვილის სიტყვა

სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, — ამბობს დეპუტატი საბაშვილი, — შეესაბამებიან რესპუბლიკის მშრომელთა ინტერესებს, ხელს შეუწყობენ საქართველოს სსრ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

ორატორი აღნიშნავს, თუ რა წარმატებანი მოიპოვეს მახარაძის რაიონის მშრომელებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. მიუხედავად გასული წლის ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს დაახლოებით 23 მილიონი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ციტრუსების დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 189 პროცენტით. საშუალოდ ჰექტარზე მოყვანილია 20,5 ცენტნერი სიმინდი, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 18 ცენტნერი. მიღწეულია მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება. თვითეულ საფუძველზე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 1.277 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.150 კილოგრამისა.

გაითვალისწინეს რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამი წლის გეგმა. უახლოეს სამ წელიწადში კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების ასაგებად რაიონში დაიხარჯება 183 მილიონი მანეთი.

ორატორმა აღნიშნა ნაკლოვანებანი რაიონში საბინაო მშენებლობის გაჩაღების, რაიონული ცენტრის მოსახლეობის სასმელი წყლით, ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საქმეში. მან სთხოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას გამოჰყოს ასიგნებანი ამ სამუშაოებისათვის.

დეპუტატი საბაშვილი მხარს უჭერს წინადადებას იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.

დეპუტატ ზ. მ. ტრდატიანის სიტყვა

— ახალციხის რაიონის მშრომელებმა, — ამბობს ორატორი, — გასულ წელს წარმატება მოიპოვეს სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებაში. რაიონის მრეწველობამ ერთი თვით ადრე შეასრულა წლიური გეგმა და გამოუშვა 13 მილიონ მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია. კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის, ხილის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ჩაბარების გეგმები. ახლა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების აღსანიშნავად.

შემდეგ დეპუტატი შეეხო რაიონში სახალხო განათლების განვითარების საკითხებს. 55 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მეცადინეობს 8 ათასზე მეტი ბავშვი. ახალციხეში არის პედაგოგიური სასწავლებელი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. მუსიკალური სკოლა. მაგრამ ზოგიერთი სასკოლო შენობა, განსაკუთრებით სოფლებში, შეუფერებელია მეცადინეობისათვის, მათ არა აქვთ ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები, ფიზკულტურის დარბაზები. ბევრი სასკოლო შენობა კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს, მათი ნაწილი უნდა გაფართოვდეს. ძალიან გაჭიანურდა სოფელ წყალთბილის საშუალო სკოლის მშენებლობა.

სიტყვაში დიდი ადგილი დაეთმო აგრეთვე კეთილმოწყობისა და საბინაო მშენებლობის საკითხებს. დეპუტატი აყენებს საკითხს, რომ, გარდა საცხოვრებელი სახლისა, რომელიც ახალციხეში შენდება, წელს დაიწყოს კიდევ ერთი 24 ბინიანი სახლის მშენებლობა, ახალი სასტუმროს აგება ან არსებულის გაფართოება, შესრულდეს მთელი რიგი სამუშაოები ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისათვის.

დასასრულ ორატორი გამოთქვამს რწმენას, რომ დეპუტატები მიიწონებენ განსახილველად წარმოდგენილ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას და საქართველოს სსრ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტს.

შეთანხმების ხელმოწერა სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს შორის სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1957 წლის 18 ოქტომბრიდან 1958 წლის 19 იანვრამდე სსრ კავშირში იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ამხ. გო მო-ჟოს მეთაურობით, აგრეთვე მრჩეველთა—გამოჩენილ ჩინელ მეცნიერთა დიდი ჯგუფი.

დელეგაციამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამ